ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 44 (1329)

6-12 ნოემბერი, 1992 წ.

თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის სესია. ქართველი ხალხი იმედით შეჰყურებს პარლამენტს. ღმერთმა ჰქნას, დეპუტატებს გაემართლებინოთ ეს იმედი.

ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ Ა. Რ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ Ა. Რ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ მოვალეობის შემსრულებელმა ამირან ნაკაშიძემ აღძრა საქმე ხელვაჩაურის სახალხო ფრონტის გაზეთ „მაჭახელა“-ს წინააღმდეგ, შემდეგი მოტივით: პრესის კანონის დარღვევის, ხელისუფლების შეცვლის პირდაპირი მოწოდების და აჭარის ა.რ.-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის შეურაცხყოფისათვის. 26 და 27 ოქტომბერს ხელვაჩაურის რ-ის სახალხო სასამართლოს შენობაში მიმდინარეობდა ღია სასამართლო პროცესი, რომელსაც უძღვებოდნენ მოსამართლე შოთა ბერიძე და პროკურორი გივი აბაშიძე, გაზეთ „მაჭახელა“-ს მხიდან რედკოლეგიის წევრები: აჭარის ა.რ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ავთანდილ ბერიძე და ოთარ ზოიძე, აგრეთვე გურამ ღუმბაძე და ვარდო ჟღენტი. ასევე დაესწრნენ სასამართლო პროცესს საინფორმაციო საგენტოების „იბერია“-ს, „იფრინდა“-ს დ საქართველოს მეზღვაურთა ასოციაციის გაზეთ „ნიავკეთილი“-ს კორეს-პონდენტები.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა გაზეთის რედკოლეგიის წევრების მოთხოვნა, აჭარის ა.რ-ის ტერიტორიაზე სასამართლო პროცესზე აცილების შესახებ, რადგან ბრალდება არ იყო მართებული, ასევე უარი ვთქვათ საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე.

ოთარ ზოიძემ გაზეთის მოსალოდნელი დახურვა არაკანონიერად შეაფასა, რადგან საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონის მიხედვით გაზეთი იხურება კანონის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, რასაც ადგილი ჯერ არ ჰქონია.

ავთანდილ ბერიძემ საბოლოო სიტყვაში ისაუბრა აჭარის ა.რ-ის ხელისუფლების წარმომადგენლთა და მათ მხარდამჭერთა მიერ გაზეთ „მაჭახელა“-ს რედკოლეგიის წევრების დევნის შესახებ.

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი გაზეთ „მაჭახელა“-ს გამოცემის აკრძალვის შესახებ. სასამართლო პროცესის წამყვანი პასუხისმგებელი პირები დღემდე თავს არიდებენ სასამართლოს ოქმის გაცნობას რედკოლეგიის წევრებზე, რათა სასამართლოს განაჩენიდან ორი კვირის განმავლობაში გაზეთ „მაჭახელა“-მ არ გასაჩივროს განაჩენი საკასაციო სასამართლოში.

გაზეთი „მაჭახელა“ აჭარის ა.რ-ს ტერიტორიაზე ერთადერთი პოლიტიკური ინფორმაციის საშუალებაა, რომელიც აჭარის ა.რ-ის ხელისუფლების „დაკვეთების“ და დაფინანსების გარეშე გამოიცემა.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ
ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐ“

ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲔᲩᲕᲔᲜᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲐ

2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, როცა შევიტყვეთ ეროვნული გვარდიის მიერ კახეთის გზატკეცილზე, „დამპალოს“ დასახლებაში მდებარე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარეზერვო საწყობის ბლოკირების შესახებ, რედაქციაში შემთხვევით შემოსული შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების წარმომადგენელთა გულისხმიერებით ვისარგებლეთ და იმათ მანქანას გავყევით შემთხვევის ადგილისაკენ. მით უმეტეს, ტელევიზიით გაკეთდა განცხადება, რომ რუსული ნაწილების მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით გვარდიელებთან ერთად ხალხიც დამდგარიყო ამ ობიექტის დასაცავად.

ადგილზე მისულებს უკვე გარშემორტყმული დაგვხვდა სარეზერვო საწყობის ტერიტორია.

როგორც გვითხრეს, რუსულ ნაწილებს უკვე უცდიათ საწყობიდან სამხედრო ქონების რუსეთში გატანა, და ეს აქცია ამითაც იყო გამოწვეული. გული დაგვწყდა, როცა დავინახეთ, რომ მიუხედავად ტელევიზიით გადაცემული განცხადებისა, აქციაში ერთობ მცირერიცხოვანი მშვიდობიანი მოქალაქენი მონაწილეობადა თუმცა ისიც ვიფიქრეთ, ამ მილიონ-ნახევრიან ქალაქში თავდადებული პატრიოტები როგორ არ იქნებიან, მაგრამ ალბათ უტრანსპორტობამ შეუშალათ ხელიო.

იმავე საღამოს ტელევიზიით მოსახლეობას მიმართეს გია ყარყარაშვილმა და ირაკლი წერეთელმა. მათ კვლავ გაიმეორეს, რომ რუსი სამხედროების მხრიდან მოსალოდნელი იყო თავდასხმა და მოსახლეობას სთხოვეს ამ ობიექტთან შეკრებილიყვნენ. მათთვის, ვინც ამ აქციაში მონაწილეობას მიიღებდა, ცირკთან, გმირთა მოედანზე იდგა ავტობუსები.

ჩვენდა სამწუხაროდ, არც ამან გამოიღო დადებითი შედეგი და თბილისელები არც ამჯერად მოვიდნენ. ისიც გასაგებია, რომ მოსახლეობის გარკვეულ ფენაში დაბნეულობა გაჩნდა, რადგან ამ ექსტრემალურ სიტუაციაში ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენლებს არ მიუმართავთ მათთვის. ისიც დაუჯერებელია, რომ ამის თაობაზე მათ არა უწყოდნენ რა.

დასანანია, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი შესაძლო საფრთხემ შეაშინა, საკუთარ ტყავს გაუფრთხილდა და მიმდინარე აქციას ბევრი სათოფეზეც კი არ გაჰკარებია.

არა გვგონია, გია ყარყარაშვილს, მის გვარდიელებსა და იმ ცოტაოდენ ხალხს, იქ რომ შეიკრიბა, სახლებში წასაღებად ნდომებოდათ სამხედრო-საჰაერო ძალების სარეზერვო საწყობის ინვენტარი; არც ის გვგონია, აფხაზეთს მხოლოდ გია ყარყარაშვილი და მისი გვარდიელები დაჰკარგავენ; აფხაზეთი თუ დაიკარგა, იმათთვის დაიკარგება, ვინც სახლში უსაფრთხოდ იჯდა ამ აქციის წარმართვისას.

ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის გულგრილობის ფონზე მართლაცდა დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ იმ არცთუ მრავალრიცხოვან თბილისელებს, „დამპალოს“ ტერიტორიაზე რომ ტრიალებდნენ ყოველგვარი საფრთხის მიუხედავად.

მიხო მოსულიშვილი
კობა ლიკლიკაძე

პირჯვრის გადაწერის დრო...

ილია ბარამიძე

„... კაცის მძიმე ხელები მარწუხებივით ჩაეჭდო გოგონას მკერდს. მერე ქვევით ჩაცურდა.

— ჩქარა, შე გველო, ჩქარა ქენი! — იყვირა ტკივილისაგან სუნთქვაშეკრულმა გოგონამ.

კაცის ხელში დანამ იელვა.

— მიშველეთ, მკლავენ! — დაიყვირა გოგონამ, მაგრამ მისი ხმა ტყეზე გადავლილმა ქუხილმა შთანთქა.

კაცი გააფთრებით ჩხვლეტდა გოგონას მკერდს, სახეს, თვალებს...

— კარგი, დამშვიდდი, მალე კარგად იქნები. — თითქოს ბოდავსო, ბუტბუტებდა კაცი.

სისხლი ნაკადად ეცემოდა სველ მიწას. კაცი ზეიმობდა, თავშეუკავებლად ხვიხვინებდა, ჟინს იკლავდა და სახეზე ღრჭენის მაგვარი ღიმილი დასთამაშებდა.

გოგონა იგრიხებოდა, კვნესოდა და ჩურჩულებდა:

— მომკალი, ჯობია, მომკალი!

— ასე, ესეც ასე! — ხრინწიანი ხმით იმეორებდა კაცი და ჯერ კიდევ ცოცხალ სხეულში დანას ატრიალებდა.

— ენა გამოყავი! — უბრძანა კაცმა.

გოგონამ ოდნავ გააღო პირი. კაცმა ენა დაიორია, მოსჭრა და ლოღნა დაუწყო. მერე ძუძუსთავები ააჭრა და ისინიც ხარბად დაღეჭა...“

არა, ძვირფასო მკითხველო, საშინელებათა ფილმების სცენარების წერა არ დამიწყია. აქ რუსი ჟურნალისტის ლუდმილა ვანიკოვას ვრცელი დოკუმენტური მოთხრობის „მანიაკი წვიმაში გამოჩნდება“ ერთი ფრაგმენტის ჩემეულ თარგმანს გთავაზობთ მხოლოდ. წიგნი უახლოეს მომავალში გამოვა გამომცემლობა „არგუმენტი ი ფაკტიში“ და ცნობილ როსტოველ მანიაკს ა.ჩიკატილოს ეძღვნება. ჩიკატაილოს სასამართლო ამ დღეებში მიმდინარეობდა და ბრალად ედებოდა 53 ქალის, გოგონასა და ბიჭის სადისტური მკვლელობა.

ქართულ პრესაში, როცა აფხაზეთში შემოჭრილ გადამთიელებზე წერენ, მათ ნაწილს, ჩვეულებრივ, კაზაკებად მოიხსენიებენ. აქაო და რუსები არ შეურაცხყოთო. თუმცა ყველა ეთნოგრაფი დამიდასტურებს, რომ კაზაკობა ეროვნული კუთვნილება კი არა, ცხოვრების წესია და კაზაკი იმდენად განსხვავდება კურსკელი რუსისაგან, რამდენადაც ვერელი ქართველი ჩულურეთელისაგან.

თავს უფლებას ვერ მივცემ ვამტკიცო, რომ სწორედ ჩიკატილოში მოხდა რუსულ-კაზაკური თვისებების აკუმულაცია, მაგრამ ბევრ რაიმეზე კი ღირს დაფიქრება...

ამას წინათ, შვიდი მილიონი რუსის მიერ პრეზიდენტობაზე ხმამიცემულმა ა.ჟირინოვსკიმ ქართველ ტელეჟურნალისტთან საუბარში ასე დახატა საქართველოსა და ქართველი ხალხის მომავალი: მე, როცა პრეზიდენტი გავხდები, გავაუქმებ საქართველოს რესუბლიკას და თბილისის გუბერნიად ვაქცევ. დამშვიდდით, თქვენთვის ასე ავჯობებს, სულ მალე კარგად იქნებითო.

გემცნოთ, ბატონებო, ჩიკატილოს ხმა? მე თქვენ, როგორც ერსა და სახელმწიფოს, დაგჭრით, დაგსერავთ; მოგსპობთ და კარგად იქნებითო.

ვეცდები ჩემი ფანტაზიით კიდევ ერთი სურათიც აღვადგინო. თუ დამავჯერებლად არ მოგეჩვენოთ, განი შთანთქავს.

— დაწყნარდით, ახლავე კარგად იქნებით! — ბუტბუტებს მფრინავი, აქსელატორს ფეხს აჭერს და სოფელს ბომბებს აყრის — არ გინდათ ლენინი? კომუნიზმი? ჩვენს „დერჟავაში“ ცხოვრება? ასე, ესეც ასე!

კიდევ ერთი ავღანური სოფელი „ათვისებულია“.

ეს მფრინავი მერე გველეთ, ქრისტიანი ყოფილხართ! — ცრემლიან თვალებს მიაპყრობს ქალი ჯვარცმიანს, — ნუთუ ბავშვი არ გეცოდებათ?

კაზაკი ქალის დაკაწრულ მკერდს ავლებს თვალს, კარგად უმუშავიათ ჩვენს ბიჭებსო, ფიქრობს, სულ მალე კარგად იქნებითო, ეუბნება და ავტომატის ჯერს უშვებს.

ზეთი გვერდზე გადაღეთ და ჩემი სინდისის პირისპირ დამტოვეთ.

ოთხმოციანი წლები. ქვიან მთებში მიყუჟულ ავღანურ სოფელს თავს წითელვარსკვლავიანი ბომბდამშენი დასტრიალებს. შტურვალთან ფაფუკულვაშებიანი რუსი სამხედრო მფრინავი ზის და სოფელს დაჰყურებს. „გვიშველეთ, გვკლავენ!“ — ყვირიან ქალები და ცდილობენ ტიტლიკანა ბავშვები თავისი სხეულით დაფარონ, მაგრამ მათ ხმას თვითმფრინავის გრუხუნი ბოლავს. ბოლოს ბომბებიც ამოიწურა. ბოლოს ბოლოს ამ ქარი უფრო „ბანდიტებს“ ითხოვს „რუსულენოვანი“, „მონათესავე“ ან რუსულთან „სულიერად ახლო მდგომი ხალხების“ იარაღით დაიკას საქართველოში. ჩვენი ნაფერები რუსები კი, რა ვქნათ, ჩვენი სიტყვა მაინც არ ესმისო, სდუმან. ჩვენ პრესითა და ტელევიზიით ვაცხადებთ, სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან ლტოლვილთა შორის რუსებიც არიანო, რათა ჩვენს ბრძოლასა თუ უბედურებას საერთო — სახალხო ელფერი შევძინოთ.

ვის გამოექცა რუსი სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან, ან რატომ? ღმერთმა დამსაჯა ვყოფილიყავი ორივე რეგიონში იმ დროს, როცა ადგილობრივი მოსახლეობა მამა-პაპისეულ მიწას ტოვებდა და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ორივეგან რუსი მოსახლეობის ხელშეუხებლობა გარანტირებული იყო, იმიტომ კი არ შემოსულან რუს-კაზაკი მეომრები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, რომ ისინი განდევნონ, ვისი ინტერესების დაცვის საბაბითაც იარაღი აისხეს. ეს ხომ დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ქართული მიწების „ათვისების“ მოსკოვურ გეგმას.

მე ვურჩევდი ჩვენს რუს თანამემამულეებს, გაიზიარონ აზერბაიჯანში მცხოვრებ თანატომელთა გამოცდილება და საქართველოს დასაცავად მიმართულ თავიანთ აქციებს უფრო ინტელექტუალური და მწვავე ხასიათი მისცენ, რადგან მომავალ, გამარჯვებულ საქართველოში ჩვენ ერთნაირი სამოქალაქო უფლებები გვექნება და ვინმე ავყიამ არ ჰკითხოს მათ, ჩვენ რომ თქვენი დაცვის საბაბით შემოჭრილ თქვენსავე თანატომელებს და მათ მიერ შეიარაღებულ ბანდიტებს შიშველი ხელებით ვებრძოდით, თქვენ რას აკეთებდით, ძმებო.

რუსეთის მიერ ერმაკისა და ხაბაროვის მეთოდით ჩვენი მამულის „ათვისება“ სამაჩაბლოში დაიწყო. გაზეთ „საქართველოს“ ა.წ. თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ვწერდი: „ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი არსად ისე ლაღად არ გრძნობს თავს, როგორც აქ. აქ არც აზერბაიჯანია, არც სომხეთი და ჩეჩნეთი, სადაც შეიძლება ტყვია დაახალონ. მიდი, აწიოკე, ძარცვე უიარაღო, მორჩილი და დაუცველი ქართველები... ერთი საფრთხე კია: შეიძლება გაიცსოს ქართველის მოთმინების ფიალა, დიდი წინაპრის სიტყვები გაიხსენოს, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსაო, პირჯვარი გადაიწეროს და...“

პირჯვრის გადაწერის დრო დაგვიდგა, ძმებო!

„წითელი თვალების“ დაავადება გადამდები სენია

წერილი რედაქციას

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე, შეკითხვაზე, თუ რა იყო მთავარი სირთულე სიახლეთა ცხოვრებაში გასატარებლად, დენ სიაო პინმა უპასუხა: „მთავარი პრობლემა „წითელი თვალების“ დაავადებაა“. ამ დაავადების არსი მოკლედ ასე შეიძლება განისაზღვროს: ეს არის უნიათო ლუმპენის პათოლოგიური შური, ღვარძლი და მიუღებლობა სხვათა წარმატებისა. ლუმპენს არ შესწევს უნარი საკუთარი ჭკუით იმოქმედოს და ამიტომაც მზადაა ანათემას გადასცეს ყველა, ვისაც საკუთარი გონებითა და ძალისხმევით გადაუწყვეტია საკუთარი ბედის მოწყობა და საზოგადოების სამსახური. მე არ ვიცი, გადაილახა თუ არა ეს სინდრომი ჩინეთში, მაგრამ ჩვენში რომ ახლა იჩენს თავს, ამის ნათელ დადასტურებად თქვენი გაზეთის 30 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი სტატია „დეტექტური სიუჟეტი ანუ ტანსაცმელი კილოგრამობით“ გამოდგება.

სტატიაში ვინმე დარეჯან წიქარიშვილი ბრალს მდებს მე და ეგნატე ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს დირექტორს დავით ცქიტიშვილს საზღვარგარეთიდან ჰუმანიტარული დახმარების მიზნით გამოგზავნილი ტანსაცმლის მითვისებასა და ამ საქონლით უკანონოდ ვაჭრობაში. ბრალდება კონკრეტულია და მძიმე. თუ ამას რედაქციის მინაწერსაც დავუმატებთ, ბრალმდებლად არა მარტო კერძო პირი, არამედ მთელი გაზეთი გამოდის და ბრალდება ორმაგდება. იზრდება პასუხისმგებლობაც ბრალდებაზე.

კეთილი, ვნახოთ რას მოუთხრობს მკითხველს ქალბატონი წიქარიშვილი. იგი, თურმე, კლინიკურ საავადმყოფოში ახლობლის სანახავად იმყოფებოდა. აქ მისი ყურადღება უცნაურ ჩოჩქოლს მიუპყრია. აღმოჩნდა, რომ მედიცინის მუშაკები ტანსაცმელს ყიდულობდნენ და თანაც წონით. ბუნებრივია მისი ინტერესი ასეთი „ანომალური“ მოვლენისადმი და ქალბატონი წიქარიშვილი იწყებს ძიებას: მერე და მერე, უკეთ რომ გაეერკვეე, გაეოგნდი — არც ზეტი და არც ნაკლები, ავსტრიიდან ლტოლვილთათვის გამოგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებას ყიდიდნენო, წერს ავტორი, მაგრამ არაფერს ამბობს, თუ როგორ გაერკვა სიტუაციაში და საიდან დაასკვნა, რომ ეს ტანსაცმელი ავსტრიიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარებაა. მაგრამ ეს არ არის არსებითი. მთავარი ის არის, რომ ბრალდება უკვე ჩამოყალიბებულია და ახლა მხოლოდ სამხილებია საჭირო. უტყუარი სამხილიც ნაპოვნია: „ნამდვილად ჰუმანიტარული დახმარება რომ იყო, იმაზეც ეტყობოდა, ტანსაცმელი ერთმანეთში არეულ-დაჭმუჭნულ-დაპრესილი იყო“-ო. შეუვალი არგუმენტია. ახლა დანაშაულის აღკვეთაა საჭირო და ქალბატონი იწყებს მოქმედებას. პირველი, რაც მან მოიმოქმედა, ის იყო, რომ საქმის კურსში საავადმყოფოს დირექტორი ბატონი დავით ცქიტიშვილი ჩააყენა. ბატონი დავითის შეკითხვაზე, თუ რატომ დაასკვნა, რომ ეს ტანსაცმელი ჰუმანიტარული დახმარებაა, ქალბატონმა წიქარიშვილმა კვლავ ტანსაცმლის „ნახმარ-დაპრესილობა“ მოიშველია, თითქოს „ნახმარობა“ საქონლის ჰუმანიტარული წარმოშობის აუცილებელი თვისება ყოფილიყოს.

საავადმყოფოს დირექტორზე ამ არგუმენტმა არ გასჭრა. უფრო მეტიც, პასუხად ისეთი უხამსი გინება მიიღო, რომ ახლობლის სანახავად მისული ქალბატონი თურმე ლამის თავად გამხდარა საავადმყოფოს პაციენტი. ვინც ბატონ დავითს იცნობს, ვერასდროს დაიჯერებს, რომ მას ასეთი რამ ეკადრება ქალისთვის. ფაქტი კი ერთია, ღვაწლმოსილი ადამიანი იძულებულია თავი იმართლოს ყოველდ ბინძური ცილისწამებისაგან. ცილისწამებისაგან, რომელსაც ეს ადამიანი არანაირად არ იმსახურებს.

დავუბრუნდეთ სტატიას. ქალბატონი წიქარიშვილი ხვდება, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაციაში იგი „სამართალს“ ვერ იპოვის და ამიტომაც განგაშს ასატეხად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩასართავად მიემართება. მაგრამ გარეთ გამოსულს გზად მთავარი ბოროტმოქმედი, ანუ მე ველობები და მის მანქანაში შეტყუებას ვცდილობ. მე რომ მთავარი დამნაშავე ვარ, ეს მისთვის ცხადია, რადგან იგი წერს: „როგორც შემდეგ გავიგე, ეს ქალი საავადმყოფოს თანამშრომელი თამარ ტყეშელაშვილი იყო. ჰუმანიტარული დახმარება მას შეეტანა“, ანუ მე ვარ ის პიროვნება, ვინც საქონელი მიითვისა და ე. ფიფიას სახ. კლინიკურ საავადმყოფოში გასაყიდად მიიტანა. როდესაც ქალბატონ წიქარიშვილთან „ბნელი“ გარიგება არ ხერხდება, მე, მისი თქმით, ნიღაბს ვიხსნი და ლანძღვა-გინებით ვიკლებ. შეურაცხყოფილი ქალბატონი შვებას თქვენს რედაქციაში ჰპოვებს. აქ მას სამოქალაქო გმირობას უწონებენ და მის მაგალითზე საზოგადოებას დამნაშავეობასთან საბრძოლველად მოუწოდებენ.

თქვენ რომ სიმართლით დაინტერესებულიყავით, ჩვენ წარმოგიდგენდით ყველა აუცილებელ საბუთს, რომელთა თანახმად ხსენებული საქონელი ფირმა „ლაბას“ მიერ შეძენილია უნგრეთში /და არა ავსტრიაში/ კონვერტირებადი ვალუტით და რომ ეს საქონელი შემდგომ ხელშეკრულებით გაეცა ფირმა „ექოტექს“ სარეალიზაციოდ, რომელსაც ეგნატე ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოსაგან იჯარით აქვს აღებული ნახევრად სარდაფის ტიპის სათავსო. იჯარის პირობების საფუძველზე საავადმყოფოს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება ჩაერიოს ფირმის კომერციულ საქმიანობაში და ამდენად, პასუხს არ აგებს მასზე. ამიტომ დავით ცქიტიშვილისადმი პრეტენზიები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება ფირმებს „ლაბას“ და „ექოტექს“, ვიმეორებ, ყველაფერი კანონიერ საფუძველზე გაკეთდა და ამას ჩვენ შესაბამის ადგილას, დოკუმენტურად დავამტკიცებთ. როგორც მოგახსენეთ, საავადმყოფოსაგან იჯარით აღებულ სათავსოში წარმოებდა ფუთების გახსნა და ტანსაცმლის რეალიზაცია წონით. ვაჭრობის ეს ფორმა, რომელმაც ასე გააკვირვა ქალბატონი წიქარიშვილი, არახალია და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული. ის, რომ ტანსაცმელი ნახმარია, ვფიქრობ, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის არც საკვირველი და მიუღებელი არც დამამცირებელია. დღევანდელი ინფლაციის პირობებში, სტატიაში მითითებული 800—1000 მანეთი რომ ვერაფერი ბედნაა, იქიდანაც ჩანს, რომ ამ დღეებში ახლობელ ადამიანმა 200—300 მანეთად შეიძინა ისეთი ტანსაცმელი, რომლის შეძენაზე კომერციულ მაღაზიებში არც კი უფიქრიათ ე.წ. „მოხარშული ჯინსის“ შარვალს, რომელიც კომერციულ მაღაზიაში სამი ათას მანეთზე ნაკლები არ ღირს, რომ „ზმეიკა“ არ ჰქონდეს, დასანანია, მაგრამ ქალალდად ქცეულ 500 მანეთად მისი შეძენა ბევრისათვის მაინც დიდი შეღავათი იყო. არაფერს ვამბობ ბავშვის თბილ ტანსაცმელზე, რომლის ფასი 50—100 მანეთს არ აღემატებოდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც კომერციული ინტერესი ემთხვევა მომხმარებლის ინტერესს და, რაც ლუმპენისთვის გაუგებარია, მოგებული ორივე მხარე რჩება.

სწორედ ეს უცნაურობა ვერ გაუგია ქალბატონ წიქარიშვილს, რომელიც სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს ცილისწამებისათვის. მაგრამ მან თავის საწადელს უკვე მიაღწია, სიბინძურე, შხამი გადმოანთხია, გვაიძულა თავის მართლება მაშინ, როდესაც საამისო არაფერი გეჭირს. სამწუხაროა, რომ მან ეს თქვენი მეშვეობით მოახერხა.

თამარ ტყეშელაშვილი

კეისარს კეისრისა

ჩვენი რედაქცია მკითხველებს კიდევ ერთ [illegible] რუბრიკას სთავაზობს — „კეისარს — კეისრისა“.

რამდენადაც შეცდომის ან ბოროტების მხილებაა საჭირო, იმდენადვეა აუცილებელი კარგზე კარგის თქმა, უმადურობის ნაცვლად მადლიერება. გურამიშვილის სიტყვები — „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო“, შეიძლებოდა ასეც შეგვეცვალა, — „კარგს თუ კარგი არ ვუწოდე, ავს სახელად რა დავარქო“ და ამით არსი არ შეიცვლებოდა.

არადა, ჩვენს საზოგადოებაში ავზე ავს უფრო სიხარულით ლაპარაკობენ, ვიდრე კარგზე — კარგს.

გაზეთის ის ნომერი, რომელშიც ესა თუ ის პირია დამუნათებული, ხელიდან-ხელში გადადის.

გაზეთის ის ნომერი კი, რომელშიც ესა თუ ის პირია შექებული, ხელიდან-ხელში არ გადადის.

ეს ფაქტი მეტყველია იმისა, რომ საზოგადოებას, ყველა ჩვენთაგანს, ღვთის მადლი გვაკლია. ამ „დანაკლისის“ შესავსებად გვინდა, რომ იყოს, იარსებოს ამ რუბრიკამ. მოვეფეროთ ერთმანეთს, უფრო სწორად, მოვიქცეთ ისე, რომ ვიღაცას სურვილი გაუჩნდეს, საჯაროდ გვითხრას — მიხარია, რომ არსებობ და მზისქვეშეთში დაიარებიო.

მაშ ასე, გთავაზობთ პატარა წერილს ამ რუბრიკით და მომავალში ველით მკითხველთა წერილებსაც, რომლებშიც მოყვასი მოყვასზე ილაპარაკებს...

* * *

რუბრიკის შესავალიცა და ქვემოთ წარმოდგენილი ღია წერილიც ადრე გვქონდა მომზადებული. მისი გამოქვეყნება იმეამად აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ. ვბეჭდავთ მას დაგვიანებით და არ ვმალავთ გამოქვეყნების მიზეზს.

დღეს განსაკუთრებით სჭირდება საქართველოს გონიერი საგარეო საქმეთა მინისტრი. შესაძლოა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებისას გაჩნდეს ამ პოსტზე დასანიშნი რამდენიმე კანდიდატურა. ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს პირადად რედაქციის არცერთი თანამშრომელი არ ვიცნობთ, მაგრამ მისი მამულიშვილური საქმიანობა გკვარნახობს მხარი დავუჭიროთ ამ საპასუხისმგებლო პოსტზე სწორედ ბატონ ალექსანდრეს.

ძველი წერილის გამოქვეყნებაც ამ მიზნით გადავწყვიტეთ.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს

ბატონო ალექსანდრე, 7 ოქტომბერს საქართველოს ტელევიზიით მოვისმინეთ თქვენი გამოსვლა მოსკოვში რუსი და სხვა უცხოელი ჟურნალისტების წინაშე.

ამასთან დაკავშირებით გვინდა გაუწყოთ.

ყოველი ქართველი თავისი ერის მსახური უნდა იყოს და სიამოვნებით შებმული ჭირში მყოფი საქართველოს მძიმე უღელში. უნდა იყოსო, — ვამბობთ, მაგრამ ამას ყველა როდი სჩადის. ამას საქართველოს ყველა მინისტრი როდი ახერხებს...

ბევრი თავის სკამსა და მდგომარეობას საკუთარი სტომაქისა და ოჯახის გაქსუებისათვის იყენებს მხოლოდ.

საბედნიეროდ, ამ შეჭირვების ჟამს ჭეშმარიტი მამულიშვილებიც ხდებიან საჩინონი, როგორც რიგით ჯარისკაცებში, ისე უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელთა შორის.

საქართველოში ყველაფრის დეფიციტთან ერთად თბილი სიტყვის დეფიციტიც იგრძნობა. არადა, კეისარს უნდა ეხლვებოდეს კეისრისა.

გვსურს არ დავიშუროთ თბილი სიტყვა და მადლობის გრძნობით მოგმართოთ იმისათვის, რომ შესანიშნავად იხდით ქვენს პროფესიულსა და მამულიშვილურ ვალს.

თქვენი სახით საქართველოს თავისი დიდი კულტურის ღირსი მინისტრი ჰყავს.

გისურვებთ ცხელი გულით ანთებულს გესეროთ ლიდ ქვეყანათა სახღვრები ჩვენი პატარა და უბედური სამშობლოს შესაწევად.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

რა ხდება ქართულ კინოში?

პაატა იაკაშვილი

ამ კითხვაზე რომ პასუხი გაგვეცა, ამისათვის მიგვწვიეს კინოკრიტიკოსები ამა წლის მაისის თვეში კინოკორპორაციის მესვეურებმა. კერძოდ: ბატონმა რევაზ ჩხეიძემ, იქ გამართულ ბოლო წლების ქართული ფილმების ჩვენებაზე. ამ ფაქტმა ჩემი გაოცება გამოიწვია, რადგან თუ მეზსიერება ამ მღალატობს, კინოსტუდია „ქართულ-ფილმში“ დამკვიდრებული ტრადიციის წყალობით ამ შეკითხვით ხშირად მიმართავდნენ ვისაც გინდა იმას, მაგალითად ლიტერატორებს ან ისტორიკოსებს, მაგრამ არა კინოკრიტიკოსებს. ამიტომ არ დავიზარე და გულმოდგინედ გავეცანი შემოთავაზებულ პროგრამას. თუმცა ზოგიერთი ფილმი ადრე ნანახიც მქონდა და შეფასებულიც. უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხს კარგა ხანია დავეძებთ კინოკრიტიკოსები, ეს აშკარად ჩანს ჩვენს პუბლიკაციებში და კიდევ: გვქონდა ცდა იმისა, რომ კინოკავშირში შემოქმედებით კონფერენციებზე მსჯელობის საგნად გვექცია უკანასკნელი წლების ქართულ კინოში მიმდინარე პროცესები (პირადად მე, მოხსენებაც დავწერე „რაზე მოგვითხრობს დღევანდელი ქართული კინო“. იხ. ჟურნალი „ხელოვნება“ # 5, 1990 წ., გვ. 98, 69—79). სამწუხაროდ ეს არ მოხერხდა. როცა ამის შესახებ გასული წლის ნოემბერში კავშირის ყრილობაზე წუხილი გამოვთქვი, ბატონმა ელდარ შენგელაიამ მიპასუხა: ხელის შემშლელი მიზეზები იყო. გულისხმობდა პოლიტიკურ სიტუაციას. მესმის, მიზეზებს რა გამოლევს, მათ შორის პოლიტიკურსაც, მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების საშუალება იყო და ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო გამოუყენებელი დარჩა. ნურავის დაავიწყდება, რომ კავშირი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და კამათი, მოსაზრებათა გაცვლა-გამოცვლა, არც ერთ პრობლემას არ ავნებს, პირიქით, განსაკუთრებით საჭიროა ესოდენ ხანგრძლივ კრიზისში მყოფი ქართული კინოსათვის. ჩვენი კავშირი კი შემოქმედებითად ჩაკეტა. თუ უცხოური ფილმების, არაკომერციული კინოს კომერციულ ჩვენებებს არ მივიღებთ მხედველობაში, იქ ამ მხრივ არაფერი კეთდება. კავშირის მესვეურებს ალბათ არ აწუხებთ თვითგამოხატვის საშუალებათა დეფიციტი, მათ ეს უმაღლეს დონეზეც გააჩნიათ, ამიტომ ნუ მოიმიზეზებენ პოლიტიკურ სიტუაციას, ხელოვნურად ნუ შექმნიან არაშემოქმედებით ატმოსფეროს, თორემ რა ვქნათ რიგითმა წევრებმა? როცა საკვეყნო პრობლემებზე კი არა, ქართული კინოს საკითხებზეც ჭირს აზრის საჯაროდ გამოთქმა. დღეს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ ქვეყნის დემოკრატიზაციაზე, ფაქტი კი ის არის, რომ კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა, სამოცდაათი წელი რომ გვთრგუნავდა, თავისი კვალი დაამჩნია ცხოვრების წესს. ამას ემატება საზოგადოების გაპარტიულება, მომხრე-მოწინააღმდეგეთა ჯგუფებად დაყოფა, რამაც ყოფის ყველა სფეროში შეაღწია და საბოლოო ჯამში კიდევ უფრო გაართულა საჯაროდ აზრის გამოთქმა. არსებული მდგომარეობის სიგლახე, კერძოდ გაზეთის რედაქტორთა ამბიციები, მე საკუთარ თავზე გამოვცადე. სათქმელი და საკამათო კი ძალიან ბევრი გვაქვს; განსარკვევია: რა ტენდენციები ბატონობენ დღევანდელ ქართულ კინოში? ასაავს თუ არა ქართული კინო ჩვენი ცხოვრების წიაღში მიმდინარე პროცესებს, და თუ ასახავს, როგორ? შესძლებენ თუ არა ქართველი კინემატოგრაფისტები შემოქმედებით ადაპტაციას ახალ ეკონომიკურ პირობებში? გვექნება კომერციული კინო? როგორია დღეს ქართველ კინემატოგრაფისტთა პროფესიული დონე? ნამდვილად პრობლემურია ჩვენში ესოდენ მოდური პრობლემური კინო? და ბოლოს, როგორია სადღეისოდ კინოკრიტიკისადმი დამოკიდებულება. უკანასკნელი საკითხი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც განმსაზღვრელია ურთიერთდამოკიდებულებისა და თუ ტრადიციულად კვლავ მიუღებელია კრიტიკა, მაშინ დიალოგი ვერ შედგება. ხოლო ამ მხრივ თუ ცვლილებაა, მაშინ ვგონებ, იმ კამათის გამართვას შევძლებთ, ჭეშმარიტებასთან რომ უნდა მოგვიყვანოს.

ბოლო წლების ფილმებმა კიდევ უფრო მწვავედ წარმოაჩინეს ყველა ადრე არსებული პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები. ხოლო ის, რაც სიახლეა, ამ ძველის ლოგიკურ გაგრძელებად მესახება.

წინა წლების პრობლემებიდან ყველზე თვალშისაცემი პროფესიული ხასიათისა გახლავთ: სათქმელის არატოლფასი მხატვრული ხორცშესხმა, რის გამოც ბუნდოვანი ხდება და იკარგება ფილმის იდეაც. ეს სენია ჩვენი კინოსი. ამითი სცოდავს განსახილველ ფილმების უმეტესობაც, რომელთა შესახებ ვისაუბრებ იმ თანამიმდევრობით, როგორითაც ენახე ეს სურათები, ოღონდ დავაჯგუფებ იმ შენიშვნების მიხედვით, რაც მაქვს და მათთვის საერთოა: რეჟისორ ლევან ზაქარეიშვილის „ისინი“ (სცენარი — გ. ბადრიძე, ლ. ზაქარეიშვილი) ზემოხსენებული პრობლემის ტიპიური მაგალითია; თავდაპირველად, როცა ფილმს უყურებ გახსენდება, რომ მის ავტორს სხვა სურათი „თემოც“ აქვს გადაღებული. მოგეხსენებათ, იყო ტენდენცია ახალგაზრდულ კინოში ფირზე აესახათ დეკადანსირებული ელემენტების: ლოთების, ნარკომანების, კახპების, ქურდებისა და ბევრი სხვა მსგავსი პროფესიის ხალხის ცხოვრება. გავიხსენოთ ა. ცაბაძის „ლაჭა“, თ. კვანტალიანის „ბიძინა“ და ლ. ზაქარეიშვილის უკვე ნახსენები „თემო“. ამ ფილმებში საკმაოდ ნიჭიერად და საინტერესოდ იქნა გააზრებული მაშინ ფაქტობრივად აკრძალული თემა. აი, ამ ტენდენციის გამოძახილს ვპოულობ ფილმის პირველ ნახევარში, რომელშიაც „გეტოდ“ ქცეული ქალაქის ერთ უბანში უაზროდ და უპერსპექტივოდ მცხოვრები ახალგაზრდების ყოფაა ნაჩვენები. აშკარაა ავტორთა ცდა კრიტიკულად გაიაზრონ ჩვენი ცხოვრების წარსული პერიოდი, ახლა „ზასტოის“ წლებად წოდებული. ამასთან ცხადია მათი სურვილიც არაფრით არ შეიზღუდონ. ავტორებმა დასახული მიზნისაკენ მიმართეს ყველაფერი: მოთხრობილი ამბავი, რემარკები, ყოფის გაშუალებელი ხედვა და გაუშუალებელი მეტყველება. ფილმში უხვადაა ადრე ტაბუირებულ თემაზე ლაპარაკი. მაგალითად, მილიციაში წამებაზე, ნაჩვენებია ნარკოტიკებით ვაჭრობა, სცადეს ეჩვენებინათ ის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის მატერიალური შემოსავალი კრიმინალურ საფუძველს ემყარება. დიახ, ყველაფერ ამაზე ფილმში არის საუბარი. ავტორებს იმის ცდაც აქვთ, რომ ყველა ზემო— ხსენებული ნოვაციის აქცენტირებით დამაჯერებლობა მიანიჭონ მათ მიერ ნაჩვენებ ყოფის სურათებს. მაგრამ ეს ცდები წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, რადგან ნაჩვენები ამბები ვერ განზოგადდა, მხატვრული დამაჯერებლობა ვერ შეიძინა და დარჩა ფაქტის უბრალო კონსტატაციის დონეზე, რაც ასევე ქართულ კინოში და კერძოდ ახალგაზრდულ კინოში დამკვიდრებული ტენდენციის გამოხატულებაა, რომლის მაგალითები სამწუხაროდ სხვა ფილმებშიც. უხვადაა. „ისინის“ ავტორთა სურვილი თავიანთი ისტორია მიამსგავსონ რეალურ ცხოვრებას, უშედეგოდ დამთავრდა, საქმეს ვერ უშველა ვერც ეკრანიდან ნიაღვარივით წამოსულმა ლანძღვა-გინებამ, არც ეროტიკამ და არც გმირის ისტორიის გაგრძელებამ: მისმა დაკავშირებამ ეგრეთწოდებულ „უზბეკურ“ მაფიასთან. ძნელია განსაზღვრო ამ ფილმის ჟანრი. რადგან ყველა ჟანრის ელემენტებია გამოყენებული: სოციალური დრამისაც, მელოდრამისაც, ფსიქოლოგიური დრამისაც, სათავგადასავლო და სხვა, ამასთან ეს ყველაფერი მექანიკურადაა ურთიერთს დაკავშირებული, იქმნება უაზრო ეკლექტურობის შთაბეჭდილება და არა პოლიჟანრულობა. სამაგიეროდ აშკარაა ავტორთა სურვილი ერთ ფილმში რაც შეიძლება ბევრ პრობლემებს შეეხონ, ყველაფერზე ილაპარაკონ. თუ ფილმის პირველი ნაწილი, როგორც ვთქვი, თემატურად ეხმიანება ოთხმოციანი წლების ახალგაზრდული კინოს ცნობილ ფილმებს და გასაგებია ავტორთა მიზანი: გვიჩვენონ ჩვენი საზოგადოების აქამდის მიჩქმალული, მთელი სოციალური ფენა; ფილმის მეორე ნაწილს პრეტენზია აქვს კინორომანისა. ვფიქრობ, ჯობდა თემის ტრადიციულ ჩარჩოებში დატოვება და რა თქმა უნდა, უფრო ღრმად დამუშავება, ჟანრული გარკვეულობა, სათქმელს სიმკვეთრე და მისთვის ოპტიმალური ფორმის მოძიება. ის, რომ ჟანრული გაურკვეულობა /მექანიკურად აღრევა/ და ყველაფრის თქმის სურვილი ტენდენციაა, ამას „მარტივი პასიანსიც“ ამტკიცებს /სცენარი — ლ. ერისთავი, ბ. ბალარჯიშვილი, რეჟისორი ლევან ერისთავი/; აქაც ბევრი პრობლემაა აღძრული: ახალგაზრდა მუსიკოსების უაზრო ყოფა, გათიშული, დაშლილი საზოგადოება, გათითოკაცებული, ყოფით კონფლიქტებში ჩათრეული ხალხი, რომელთაც ერთმანეთისა არ ესმით. ადამიანები ბორგავენ, წუხან, გამოსავალს ეძებენ. მათი გზა ხშირად მცდარია. თუმცა იმედიც არის, რომ საკუთარი პრინციპებს, თუკი ასეთი რამ გააჩნიათ, ბოლომდე შეინარჩუნებენ. ყველაფერი ეს ძალიან ბევრჯერ ყოფილა უკვე ქართულ კინოში. განსაკუთრებით ახალგაზრდა ავტორთა სურათებში და ამასთან გაცილებით ნიჭიერადაც. წინამდებარე ფილმს მეორადობის დაღი ატყვია. არადა მის ავტორებს ერთი გარემრება სულ სხვაგვარი კინონაწარმოების შექმნის საშუალებას აძლევდა: საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც რომელიმე ფილმში მომღერალი ან კომპოზიტორი მონაწილეობს, ასეთ დროს ცივილიზებული ქვეყნების კინემატოგრაფიული კანონებით ჯერ ერთი, სპეციალურად მათთვის იწერება სცენარი და მეორეც, ზუსტად განისაზღვრება ჟანრი, როგორც წესი, ეს მელოდრამაა. ამის უამრავი მაგალითი იცის კინოს ისტორიამ. „მარტივ პასიანსში“ დათო ევგენიძე ასრულებს მთავარ როლს და ავტორებს ზემოხსენებული წესით შეეძლოთ ესარგებლათ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს და მელოდრამის ელემენტებიანი პრობლემური კინოს შექმნას ეცადნენ, რაც ვერ შესძლეს და საბოლოოდ მივიღეთ ფსევდო-პრობლემური ფილმი, რაც ბოლო წლების კინოში არსებული კიდევ ერთი ტენდენციაა.

ფილმ „ვირთხას“ /სცენარი — ლაშა იმედაშვილი, პ. მილორავა. რეჟისურა პ. მილორავასი/ აზრობრივი მიზნდასახულობა ასეთია: თუ ადამიანი ტოტალური დევნისა და შევიწროვების პირობებში მხოლოდ თავის გადარჩენაზე იფიქრებს, მას ვირთხასავით მიწაში ცხოვრება მოუწევს და შეიძლება ვირთხად იქცეს. ეს იდეა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ საშუალება, რითაც მის ხორცშესხმას ცდილობენ ავტორები, სადაოა. ეს ყველაზე ნაკლებად მსახიობებს ეხება და ყველაზე მეტად დრამატურგსა და რეჟისორს და, ძევს ნაჩვენები კონფლიქტის საფუძველში: ფილმის გმირი იმიტომ მოექცა ადმინისტრაციულ ორგანოების თვალთვალის ქვეშ, რომ ის უჩვეულო ფენომენს წარმოადგენს: ფოტო და კინოფირზე მისი სახე არ ფიქსირდება. ეს კი საკმარისი ხდება იმისათვის, რომ საგანგებო საავადმყოფოში გამომწყვდიონ. გასაგებია, ავტორებს ეს პირობითობა კომუნისტური ტოტალიტარიზმის მიერ მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ძალადობის აბსურდული საფუძვლის საჩვენებლად ჭირდებოდათ, მაგრამ ამისათვის პირობითობა საჭირო არ იყო, ამის წყალობით ფილმს ფანტასტიკური ელფერი დაჰკრავს. კომუნისტურ ძალადობას რეალური საფუძველიც ბევრი ჰქონდა. და ამის ჩვენება დამაჯერებლობას მიანიჭებდა ფილმს. სამოცდაათწლიანმა დანაშაულებრივმა რეჟიმმა ბევრი ადამიანი მოსპო, ბევრი ციხეში გამოკეტა და ბევრიც ფსიქიატრულ საავადმყოფოში. საშინელ ზეწოლას ზოგმა გაუძლო, სხვამ ვერა და სულიერად გატყდა. ავტორებს ბევრნაირი გმირის ჩვენება შეეძლოთ და შესაბამისად სხვაგვარი ისტორიის მოთხრობა.

მათ სუსტი, ინერტული, მხოლოდ თავის გადარჩენის მოსურნე გმირი ირჩიეს /ტიპიური გმირი ქართული ახალგაზრდული კინოსი, მაგრამ ამის შესახებ შემდგომ/. ეს ნახევრად ფანტასტიკური ისტორია სათქმელის თვალსაზრისით ძალიან ჰგავს არც თუ დიდი ხნის წინათ ჩვენს ეკრანებზე ნაჩვენებ უნგრულ ფილმს, სადაც მოთხრობილია ერთი კომუნისტის ისტორია, რომელსაც დევნის შიში მაშინაც არ ტოვებს, როცა საბჭოთა რუსეთის ჯარები ბუდაპეშტს იკავებენ. „ვირთხას“ ავტორებს რომ რაიმე რეალური მაგალითი ეიღოთ: კომპარტიის, „კაგებეს“ ან ექიმ-ფსიქიატრების დანაშაულებრივი ქმედებიდან, მაშინ მათი სურათი არც გაცილებით ნიჭიერად შესრულებული უნგრულ ფილმს დაემსგავსებოდა და უფრო აქტუალურიც იქნებოდა.

რეჟისორ დავით ურუშაძის „მერცხლები და ბეღურები“, „ზასტოის“ წლების ყოფას გვიჩვენებს, კერძოდ „სამხრეთში დასვენებას“, ამ შემთხვევაში საქართველოს კურორტებზე ცხოვრების სურათებს. ჟანრულად აბსურდის ელემენტებით გაჯერებული ფილმი სატირული კომედიაა, თუმცა ამ მხრივ დაუხვეწავია, აშკარაა, ავტორები ეხებიან ყველა იმ პრობლემას, რომელიც საკურორტო ქალაქებში იყო თვალშისაცემი / მაშინაც და ნაწილობრივ დღესაც არჩა/ : არალეგალურ პროსტიტუციას, საბჭოური იდეოლოგიის პრეპაგანდის სიბრიყვეს, კომუნისტ-ბიუროკრატთა კარიერიზმს, „ხალხთა მეგობრობის“ აბსურდულ ცნებას და სხვა. ეხებიან, ოღონდ მეტად ემპირიულად. ამის გამო აღძრული პრობლემები ვერ წარმოჩინდა მკვეთრად. ამასთან, ვერც პირობითი სამყაროს დაკავშირებას აბერხებენ რეალურთან. უკვე ვახსენე დაუხვეწაობა, ამის გამო ფილმი ეკლექტური გამოვიდა. ბევრი მიზანსცენა კი გაუგებარი; მე, მაგალითად, ვერაფრით ვერ გავიგე, რატომ დაასეირნებს გაუთავებლად შიშველ ქალს ერთი წვერებიანი პერსონაჟი და რას ნიშნავს ეს საერთოდ. ფილმში დიდი ყურადღება და ადგილი ეთმობა ეროტიკას და პორნოგრაფიას, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ახალი ხილია ჩვენი კინოსათვის და რომ საამისო კულტურა ჯერ არ გაგვაჩნია. და ბოლოს, ისევ და ისევ ყველაფრის თქმის სურვილი და საბოლოო ჯამში არაფრის თქმა. ამ მხრივ „მერცხლები და ბეღურები“ ამ ტენდენციას სხვა ფილმებზე მკვეთრად ავლენს.

დიმიტრი ცინცაძის „სტუმრებმა“ დამარწმუნა, რომ ერთი შეხედვა ტენდენცია ქართული ახალგაზრდული კინოსი. დადგაა ცოცხალია: ეს გახლავთ პირადულის, განცდილის მოტანა კინოში. რა თქმა უნდა, ეს ცუდი არ არის, მაგრამ თუ ავტორები თავიანთი სათქმელის გამოხატვისას ისეთივე უშუალონი არიან, როგორც თავიანთი განცდილის აღქმისას, მაშინ ნაწარმოები ბევრს კარგავს, ვერ ზოგადდება და კერძო ისტორიად რჩება, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანია ავტორისთვის, მაგრამ ნაკლებად-სხვისთვის. რაც შეეხება ამავე რეჟისორის მეორე ფილმს „სახლი“ — აქაც ძველმა ტენდენციამ იჩინა თავი: ფაქტის კონსტატაციამ, მაშინ როცა ჩვენი ეროვნული კინოსკოლა პირველ ნაბიჯებს დგამდა, როცა წესად დამკვიდრდა, რომ ახალგაზრდა რეჟისორი მაქსიმალურად თავისუფალი უნდა ყოფილიყო თემის პრობლემისა და პოზიციის არჩევისას /ეს იმ წლებში ძნელი საქმე იყო/, მაშინ ფაქტის კონტატაცია უკვე დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატულებას ნიშნავდა და ახალგაზრდა ავტორებიც ხშირად მიმართავდნენ ამ ხერხს. ავტორი ახლაც ამას აკეთებს, ფილმი ჩვენი საზოგადოების წიაღში მიმდინარე პრობლემებს იმით ეხმიანება, რომ გვიჩვენებს იმას, თუ როგორები არიან ამ საზოგადოების წევრები. ავტორი იმას არ გვეუბნება, თუ რატომ არიან ისინი ასეთები და საერთოდ ფილმში აღძრულ პრობლემებისადმი საგრძნობია ზედაპირული დამოკიდებულება, დარჩა მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია-ეს კი უკვე ბევრჯერ ვნახე, მოსაბეზრებლად ბევრჯერ და ეს კიდევ ერთხელ განმეორდა შემდგომ ფილმში „ცივა, ცივა“ (სცენარისტები დ. ახობაძე, გ. ბარაბაძე, რეჟისორი გ. ბარაბაძე), რომელიც ბორის ვასილევის მოთხრობის მოტივების მიხედვითაა შექმნილი და „პერესტროიკის“ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის დახატვის ცდაა, ამ მიზანს ემსახურება ამდენიმე პარალელური ისტორია: მძღოლის, ჯარისკაცის, ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული გოგონასი და მისი საყვარლისა. ამათ გარდა კიდევ არიან ჯარისკაცის დედა, მძღოლის ოჯახის წევრები და საყვარელი ქალი, „კაგებეს“ აგენტები, დემონსტრანტები, ობივატელები. მათ აერთიანებს ის, რომ ყველა ისინი ტოტალიტარული სახელმწიფოს დეგრადირებული მცხოვრებნი არიან, ზოგი მსხვერპლი ზოგიც მომალადე, გამეფებულია სისასტიკის, თვალთვალის, გარყვნილების ატმოსფერო. აი, ყოფის ასეთი სურათის დახატვას ცდილობენ ავტორები. მაგრამ ეს ფილმი იმითვე სცოდავს, რითაც ადრე განხილული სურათები: აკლია დამაჯერებლობა, ცხოვრებისეული სიმართლე, ნაჩვენები ამბები არ ზოგადდება, ყველაფერი სურვილის დონეზე რჩება, სქემატურია, ზედაპირული. რაშია საქმე? თანამედროვეობის პრობლემებზე ფილმის შექმნა ქართულ კინოში ყოველთვის ჭირდა და ერთეულები ახერხებდნენ ნიჭიერად გამოეხატათ თავიანთი სათქმელი. რაც შეეხებოდა ახალგაზრდებს, ისინი /მათ შორის მიმოხილული ფილმების ავტორები/ გულწრფელი უშუალობით გადიოდნენ ფონს, მაგრამ ახლა, როცა მხატვრული სახეებთაა საჭირო აზროვნება, ცხოვრების ღრმა ცოდნა და ანალიზის უნარი, ჩანს რომ ეს უჭირთ.

„ორეული“ დ. გიორგობიანის ფილმია და არის ცდა ავანგარდისტული ნაწარმოების შექმნისა. საერთოდ ეს მიმართულება ამ ავტორის გატაცების საგანი გახლავთ, ცხადია ეს ცუდი არ არის, ოღონდ უნდა ითქვას, რომ მაშინაც, როცა ოციანი წლების დამდეგს საფრანგეთში ავანგარდელები კინოში იწყებდნენ თავიანთ ექსპერიმენტებს და შემდეგ უკვე ჩვენს დროში ამ სტილში მომუშავე ავტორისათვის კარგი ფილმი რომ შეიქმნას, აუცილებელია: მახვილგონიერება, ზომიერების გრძნობა, ასოციაციური აზროვნება და მტკიცედ გამოკვეთილი პოზიცია, ეს გაჩნდა ადრე დელიუკსა და მის თანამოაზრეებს, ჩვენს დროში კი როკ გრიეს, რივეტს, გოდარს. სამწუხაროდ ამის დეფიციტი იგრძნობა „ორეულში“ და რამდენადაც შევამჩნიე, ამ ფილმის ავტორის სხვა სურათებშიც. რა მიმართულების ფილმს ქმნის ავტორი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია რამდენად საინტერესოა მისი მცდელობა.

თუ შევაჯამებთ ყველაფერ იმას, რაც თანამედროვე თემაზე შექმნილი ფილმების ამ ჯგუფს ახასიათებს, ასეთი სურათი დაიხატება: ყველა ეს ფილმი ეკუთვნის ე.წ. პრობლემურ კინოს, მაგრამ რადგან მათში აღძრული საკითხები ავტორთა მიერ ზედაპირულად არის დანახული, ვერ ზოგადდება და არის მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია და არა მოვლენათა არსში წვდომა და მხატვრულად სუსტი გამოდის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ფსევდო პრობლემურ კინოსთან, რომელიც უკვე კარგა ხანია დამახასიათებელია ბევრი ქართული ფილმისათვის. ამას გარდა, ვერ დაიძლია ძველისძველი პრობლემა, ვერ მოხერხდა ყოფის დამაჯერებელი ასახვა, თუმცა არის ცდა, მოიძებნოს რეალობასთან მიახლოების გზები: ამან თავის მხრივ ახალი ტენდენცია წარმოშვა: ეს ყოფის გაუშუალებელი ხედვაა, გაუშუალებული მეტყველება ანუ გაუთავებელი გინება და ბილწსიტყვაობა, ახლა ამას უპირისპირებენ ავტორები ადრე არსებულ სხვა ტენდენციას: კერძოდ, ხელოვნურ, უზად ლიტერატურულ მეტყველებას, ამასთან აუცილებლად თეატრალური პათოსით წარმოთქმულს. აშკარაა, საქმე გვაქვს მეორე უკიდურესობასთან, და ბოლოს, სიახლეა ახლა მოდური ეროტიკა და პორნოგრაფია. ყოფის ასეთი ხედვა ჩვენთვის ნოვაციაა, ევროპულ და ამერიკულ კინოში ამისი დიდი ხნის გამოცდილება აქვთ და რაც მთავარია, ყველაფერი იმ კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით ხდება, რაც ამა თუ იმ ქვეყანაშია. ამის საუკეთესო მაგალითს გერმანულ კინოში ვიმ ვენდერსისა და ფოლკერ შლონდორფის შემოქმედება წარმოადგენს.

ჩვენს ფილმებში ეს ყველაფერი მექანიკურად, წამბაძველობით არის შემოტანილი. მე ვფიქრობ, ჩვენ ჩვენი გზა უნდა ვიპოვოთ ქართულ კულტურის, ტრადიციებისა და სულიერი რეალობის გათვალისწინებით და ამის მიხედვით შემოვიტანოთ ზემოხსენებული ნოვაციები ქართულ კინოში. სხვაგვარად მეორადობას და ვულგარულობას თავს ვერ დავაღწევთ. და ბოლოს, კიდევ ერთი ძველი პრობლემის გამო: უკანასკნელი წლების ქართულ კინოში ვერ დამკვიდრდა სოციალურად აქტიური გმირი. მე აღარაფერს ვლაპარაკობ ისეთ გმირზე, აქტიურობასთან ერთად რომ შესძლებდა ეროვნული რეალიების დაცვას. კარგა ხანია ქართულ კინოში და მითუმეტეს ახალგაზრდულში, უპირატესობა ენიჭებოდა პასიურ გმირს, ინერტულ პიროვნებას. მეტად დიდი საქმე იყო, თუ ასეთი პერსონაჟი საკუთარი მრწამსის შენარჩუნებას აბერხებდა ან საკუთარ პოზიციას იცავდა. იმდაგვარი გმირების ეკრანზე გაბატონების წლებში, პარალელურად რეალურ ყოფაში სხვაგვარი გმირებიც არსებობდნენ-აქტიურიცა და ეროვნული რეალიების დაცვის მოსურნენიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ კინოს მათი ცხოვრება არ აუსახავს, თავისი ყურადღების საგნად არ უქცევია. ჩემი აზრით, ქართულ კინოს დღეს ისევე, როგორც ჩვენს საზოგადოებას, ჭირდება სოციალურად აქტიური და ეროვნული რეალიების ერთგული გმირი.

(გაგრძელება იქნება)

პროვინციალიზმი — ამეობას მრავალსახეობა

(ფელეტონის მაგიერ)

ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა ბედუკუღმართობამ მრავალი უკეთურება ახარა და აყვავილა. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი, მთელი ერის მომცველი და ნელ-ნელა მომგუდავი სენი გახლავთ პროვინციალიზმი. თუ გარდასულ ეპოქაში ამ სენის მხოლოდ სიმპტომები იხილვებოდა, ღღეს გააკეებულ და გაშიშვლებულ რეციდივებს ვაწყდებით; „უწყინარი“, იუმორისტულ-სარკასტული პროვინციალიზმი უკვე პარტიკულარიზმის, კუთხური შოვინიზმის შხამ-ბალღამად გადწინთხევა და მოწამლვით ემუქრება მთელ სულიერ და ფიზიკურ სუბსტანციას ერისას. პროვინციალიზმი ლენცოფასავით მოედო საბას, ილიას, აკაკის, ვაჟას მიერ ნამარგლ და ნალოლიავებ ერის სულიერების ხოდაბუნებს და მომავალთათვის წინაპართა მემკვიდრეობასაც დალუპვას უქადის...

როდესაც ამგვარი ტენდენციების მხილებას ვცდილობთ, ბუნებრივია, ბრძოლის ავანგარდში წმინდა სახელებს — ილიას, აკაკის, ვაჟას... — წავიმძღვარებთ ხოლმე. სულისა და გონების პროვინციალურმა დაბნელებამ ამ სახელების მოხმობთ-ღა თუ შეიძლება სახედველნი და სასმენელნი მიაპყროს ჭეშმარიტებას. ეს ის სახელებია, რომელთაც უკეთური კაცის ხელი არ უნდა შეეხოს. მაგრამ პროვინციალიზმი (ისიც გათამამებულ-გაამაყებული) რის პროვინციალიზმია, რომ ხელი წმინდა სახელებსა და ცნებებსაც არ წაა-წვდინოს, მათი შემოთრევაც არ დაიხარბოს თავის „ცამცუმის კოშკში“ („ცამცუმის კოშკის“ მეტაფორა, ჩემი აზრით, კარგად გამოხატავს პროვინციულ კარჩაკეტილობას, სულიერ უკარფანჯრობას...)!

ხომ არ გგონიათ, რომ ამ „პროვინციალიზმობანას“ მოიმოქმედებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მიზეზით პროვინციელები, ანდა ინტელექტუალურ-სულიერი საქმიანობისაგან ასე თუ ისე განზე მდგომნი? არა და არა! „ბედნიერება“ ის არის, რომ ამ „მამულიშვილურ“ საქმეს ემსახურებიან სულ კოლექტიურ მეცნიერებასა და მწერლობაში ნაპატივარნი წიგნისკაცნი, სულ მეცნიერების დიპლომიანნი, სხვადასხვა კავშირების წიგნაკიანნი...

დიახ, ჩვენთა „რჩეულთა მოაზროვნეთა“ უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავია არა „იმერელ“ მწერალსა, „კახელ“ მოღვაწესა და „ფშაველ“ პოეტში დიდი ეროვნული ფენომენის გამოვლენა, არამედ, ჰირიქით, მათ აკისრიათ დიდ ეროვნულ მოღვაწეებში კუთხური ნიშნების — იმერულის, კახურის, ფშაურის — დანახვა-აღმოჩენის დიდად მამულიშვილური მისია!..

მავანმა მეცნიერ-მწიგნობარმა ილიას გენეალოგიურ ფესვებს ფხოვამდე ჩასდია.

ეს „ძიება“ ყურადღებას იმით იქცევს, რომ მისი მჩხრეკელი „შემთხვევით“ ფხოველი გამოდგა!

მეორე დიდი მეცნიერი ილიას „გამოესარჩლა“ და მისი „სუფთა“-კახელობა დაამტკიცა.

მაგარი ის არის, რომ ამის მამტკიცებელი „შემთხვევით“ კახელი გამოდგა!

ერთმა მეცნიერმა მთელი მონოგრაფია მიუძღვნა იმის „ანალიზს“, რომ სამასი არაგველი ფშაველ-ხევსური კი არა, მთიულ-მოხევე შეიძლება იყოს (ერთიც რომ იყოს და მეორეც, ამით რა დაშავდება?)...

მავანმა მეცნიერმა ვაჟა-ფშაველას ხევსურული წარმომავლობა აქცია წყალგაუვალ ჭეშმარიტებად.

მეორე მავანმა ვაჟას მოხეურ ძირებს მიაგნო, ბუნებრივია, ასევე უეჭველად. ამის პასუხად ერთმა მეცნიერ-პუბლიცისტმა ვაჟას ერთობ ომახიანი გადაცემა მიუძღვნა, რომელშიც თვით მწერალს ათქმევინებდა — „მე ფშაველი ვარ!“

მაგარი ის არის, რომ ვაჟას „ვინაობის“ დამდგენთაგან პირველი ხევსური აღმოჩნდა, მეორე — მოხევე, მესამე კი, ცხადია, ფშაველი!..

მავანმა თბილისში ყაზბეგის ძეგლი მოისაკლისა (ხრულიად სამართლიანად) და გადაწყვიტა ამ ძეგლის დადგმა დიდი მწერლის მშობლიური კუთხის სახსრების მობილიზაციით!..

ამ დიდებულ საქმეში დასაწუნი რა იქნებოდა, ერთი მაგარი „მაგრამ“ რომ არა: ამ ინიციატივის ავტორი კუთხე ხევი აღმოჩნდა.

სხვა კუთხეს კი, მგონი, არც გამოუხედავს ამ შეძახილზე, იმის მსგავსად, როგორც თავის დროზე ილია ამბობდა: შუა ბაზარში რომ დაიძახო „ქართველო“, ქართლელი თუ გამოგხედავსო...

ვაგლახ, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის სახელების გვერდით კვლავ ამაზე რომ გვიხდება საუბარი, თუნდაც აგდებით და ირონიით!..

ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა თავის ღრმად-მეცნიერულ ოპუსში კვლავ საჭიდაო ხალიჩაზე მოუხმო აკაკის და ვაჟას („აკაკი და ვაჟა“ — ასეთი მაღალფარდოვანი სათაურით დაამშვენა თავისი საშვილიშვილო“გამოკვლევა“) და გაკვირვებით თვალები ააფახულა, რამ განარისხა ასე ვაჟა, როდესაც აკაკის „ენას გიწუნებ, ფშაველოს“ მეტი არაფერი უთქვამსო?! მერე კი, ერთი რომ ტუჩაბზუებით გაუარ-გამოუარა „გაღიზიანებულ, განრისხებულ“ ვაჟა-ფშაველას (უთუოდ იფიქრებდა საყვედურებმომრავლებული პოეტი, ჩემი თანამედროვე გენიოსი აკაკისა მესმის, მაგრამ ეს უცნობი ახალგაზრდა ასე აგდებით რა უფლებით მელაპარაკებაო!), ისე ღრმად-მეცნიერული ობიექტურობით შეაფასა, როგორც შეჰფეროდა ამ ახირებულ პოეტს:

„ეს იყო პოზიცია ვაჟა-ფშაველასი. ამ თვალსაწიერიდან, პოეტი არათუ ამახინჯებს, ბღალავს სალიტერატურო ქართულს, პირიქით, ცდილობს დააფუძნოს იგი ფშაურ დიალექტზე! ვაჟა ამ შეგნებით მოვიდა ქართულ მწერლობაში და ამ შეგნებითვე იღვწოდა სიცოცხლის ბოლომდე“.

შემდეგ კი, ბოლოში:

„ზევით მოგახსენეთ — ვაჟა ამ შეგნებით მოვიდა ქართულ მწერლობაში და ამ შეგნებითვე იღვწოდა-მეთქი ბოლომდე. იღვწოდა და იბრძოდა თავისი პოზიციის დასამკვიდრებლად; მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე სალიტერატურო ქართული იმ გზით მიედინებოდა, რასაც აკაკი იცავდა. ვაჟას ენობრივი პოზიციაც რომ უაღრესად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით მას, ფაქტია“.

დღემდე გულწრფელად მეგონა, რომ ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი ერთ საერთო ლიტერატურას, ენას და საქმეს ემსახურებოდნენ. მე, ცოდვილი, სხვებსაც ამ აზრს ვუნერგავდი. სწავლა სიბერემდეო! — ძლივს გავიგე, რომ ვაჟას სულ სხვა გზა ჰქონია! (რომ, თურმე, ცდებოდნენ გრ. კიკნაძე, თ. ჩხენკელი და სხვანი)...

ეჭვი არ არის, პოეტი, თავისი ახირებულობის მიუხედავად, როცა გაიგებს, რომ ცნობილი ენათმეცნიერი მის ენობრივ პოზიციას „არ ეთანხმება“ და დარწმუნდება (თუმცა წერილში, ეტყობა, ჭეშმარიტების აქსიომატურობის გამო, მხოლოდ განცხადებებია და ანალიზი ქრთილისოდენაც არ არის), რომ თურმე ასე „ამახინჯებდა და ბღალავდა სალიტერატურო ქართულს“, აღარ შეეცდება „დაფუძნოს იგი ფშაურ დიალექტზე“ და მარადიულ სასუფველში მაინც შეიცვლის ენობრივ პოზიციას! გვაპატიოს მისმა წმინდა აჩრდილმა ერთი ლიტერატორიც არ გამოხმაურებია!

ნიშანდობლივია ერთი დეტალიც: ვაჟას ენის დამწუნებელი თავისი პოზიციის გასამაგრებლად „მაშინ“ კ. გამსახურდიას ერთ გამონათქვამს იმოწმებდა ამავე საკითხის შესახებ. გამოქვეყნებულ წერილში კი ეს ციტატა აღარ ჩანს. დაე, მკითხველმა იმსჯელოს, რაიმე მეცნიერული მოსაზრებით შეეღია ავტორიტეტის დამოწმებას ავტორი, თუ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო?!..

დიახ, ზემოაღნიშნული მეცნიერული მიღწევები სულ დიდ-დიდ სახელიან ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა. ბოლო ოპუსიც სოლიდურ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა, თანაც, მისი მაღალი ღირებულების გამო პირველ აგგილზე (შეგახსენებთ, რომ ამ ჟურნალში ისეთი დიდი ენათმეცნიერებისთვისაც კი არ დაუთმიათ პირველი აგგილი, როგორებიც იყვნენ აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა და სხვ.).

აღნიშნული ჟურნალი იმდენად სოლიდურია, რომ მასში წერილები საგანგებო წარდგენის გარეშე არ ქვეყნდება. მითითებულ ოპუსსაც ერთ-ერთი სოლიდური სამეცნიერო საბჭოს წარდგინება ახლავს!

მაგარი ესეც არის!

შეამჩნევდით, რომ ზემოთ საკუთარი სახელით მხოლოდ ჭეშმარიტი ეროვნული მოღვაწეები მოვიხსენიე (ილია, აკაკი, ვაჟა...) და ამ ადგილზეც ვასახელე ირონიის ნიშნით ქცეული ავტორები და წყაროები. ამას სულაც არ ვაკეთებდი სიფრთხილისა, სირცხვილისა თუ რაღაც ტაქტიკური მოსაზრების გამო. საქმე ის არის, რომ იმას, რასაც ზემოთ შოგახსენებდით, სხვა სახელი არა აქვს, გარდა ერთისა, საერთოსი — ეს სახელია პროვინციალიზმი. პროვინციალიზმი — ერთი ფერისა და შინაარსისა, მაგრამ ყოველ ჟამს სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი: როგორც ამება, ერთგან რომ შეუზღუდავ, წამსვე ფორმას იცვლის, სხვაგან გამოიბამს კიდურებს, სხვა საგნებსა და ღირებულებებს გადაებლანტება...

დასკვნის-მაგიერ:

მ. კვესელავა ობიექტურად აფასებდა ვაჟასთან დაკავშირებულ მრავალ გაუგებრობას: „ვაჟას შესახებ ბევრი რამ ითქვა უმეცრული და შეურაცხმყოფელი“.

ამ საკითხს თ. ჩხენკელი ზუსტად განსჯის: „მისი გენიალური შემოქმედება პროვინციული კუთხურობის თვალსაზრისით იყო თავის დროზე შეფასებული და ამ თვალსაზრისით ინერცია ხანგრძლივ ჰერიოდს გასწვდა“.

ნუ ვიფიქრებთ, რომ გაუგებრობათა სიმწარე მხოლოდ ვაჟას პიროვნებას უკავშირდება. აი, რას წერდა ბევრი ცხოვრებისეული სიმუხთლის მნახველი აკაკი: „ღმერთო ჩემო! რა არ გადამიტანია ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში?! რამდენი უსამართლო მტრობა, ცილისწამება, შეურაცხყოფა და განსაცდელი დამდგომია, მაგრამ, ღვთის მადლითვე, ამიტანია“.

ბრძენი აკაკი ერთ ქართულ ჭეშმარიტებასაც მწარედ აღნიშნავდა:

„დიაღ! ქართველ
მოღვაწეს
ყველას თვალში
ვამცირებთ;
სიცოცხლეში
ვატირებთ!
რომ მოკვდება,
ვიტირებთ!“

საუბედუროდ, ვაჟას მიმართ ამ ჭეშმარიტებამაც არ გაჭრა, მის ხახელს სიკვდილის შემდეგაც ისევ უკმეხად ებლანტება პროვინციალიზმის მატირებელი კვამლი.

თუმცაღა, ვერც აკაკისა და ვერც ვაჟას სახელებს კოლექტიური ცნობიერებით ნაკვები პროვინციალიზმი ვეღარაფერს დააკლებს. ეს ჩვენ გვმართებს სიფხიზლე — ჩვენ დაგვაკლდება ბისი გაპარპაშებით, ჩვენს მომავალ თაობებს, ჩვენს ისტორიას...

ამიტომაც უნდა ვუფრთხილდეთ და გავემიჯნოთ დიპლომიან და წიგნაკიან გაზულუქებულ პროვინციალიზმს (მწერლობაშიც, მეცნიერებაშიც, პოლიტიკაშიც), მაგრამ ამისათვის ჯერ მისი ამოცნობა უნდა ვისწავლოთ...

ავთანდილ არაბული

როგორ გამოსცემს კონგრესი კანონებს

ლესტერ დეივიდი

ერთებული შტატების კონგრესის ყოველი სესიის განსახილველად გამოაქვთ ათასობით კანონპროექტი. ნებისმიერი მათგანი, ეხება იგი გვალვით დაზარალებულ ფერმერთათვის ... ...ების, უკანონოდ დაჩაგრული ვეტერანის პენსიის აღდგენისა თუ გაფიცვის შეჩერების საკითხს, ერთი და იმავე ადგილიდან იწყებს თავის გზას — კაპიტოლიუმიდან, რომელიც ვაშინგტონში პატარა ამაღლებ...ზე დგას. სწორედ აქ განიხილავს შეერთებული შტატების მთავრობის საკანონმდებლო შტო — კონგრესი — კანონებს, რომელთა მიხედვითაც ცხოვრობს ქვეყანა და მისი ხალხი. სენატი და წარმომადგენელთა პალატა — ზედა და ქვედა პალატები, განლაგებულნი არიან კაპიტოლიუმის სხვადასხვა ბოლოებში და ასრულებენ ამერიკის კონსტიტუციის 1 მუხლის პირველი განყოფილების მიერ დაკისრებულ ფუნქციებს: „ყველა აქ განსაზღვრული უფლებამოსილება საკანონმდებლო ხელისუფლებისა ეკუთვნის შეერთებული შტატების კონგრესს“.

კანონპროექტი იძენს კანონის ძალას, როდესაც მას ორივე პალატა მიიღებს და ხელს მოაწერს პრეზიდენტი. თუკი პრეზიდენტი მას ვეტოს დაადებს, იგი შეიძლება იყოს მიღებული ორი მესამედის უმრავლესობით მეორადი კენჭისყრის დროს.

კონგრესი ასრულებს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებსაც — ამტკიცებს უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებებს, არეგულირებს ვაჭრობას, ადგენს და ინახავს შეიარაღებულ ძალებს. მაგრამ მისი დროისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი იხარჯება კანონპროექტების განხილვაზე.

ეს უდიდესი ამოცანაა. ყოველ სესიაზე განიხილება ათასობით სხვადასხვა კანონპროექტი, მაგრამ ძალიან ცოტა მათგანი იძენს კანონის ძალას. მაგალითად, მე-100 მოწვევის მეორე სესიაზე 1989 წელს 3470 პროექტიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 471 — 1/8-ზე ნაკლები. 99-ე მოწვევის კონგრესმა კი მხოლოდ 1/17 ნაწილი დაამტკიცა.

(ყოველი მოწვევის კონგრესი მიმდინარეობს ორი წლის განმავლობაში და წელიწადში ორ სესიას ატარებს. პირველი მოწვევის კონგრესი შედგა ნიუ-ორკში 1789 წელს. მე-100 მოწვევისა — ორასი წლის შემდეგ.)

როგორ იქმნება ამერიკული კანონები? რა ეტაპებს გადის კანონპროექტი, სანამ კანონად იქცევა?

კანონპროექტები შემოაქვთ მხოლოდ კონგრესის წევრებს, მათი წინადადებები კი შეიძლება სულ სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობდეს. ახალი კანონის შესახებ შეიძლება იშუამდგომლონ კონგრესის წინაშე პროფკავშირებმა, ქალთა ორგანიზაციებმა, სამოქალაქო უფლებათა დამცველთა ასოციაციებმა და საერთოდ, განსაკუთრებული ინტერესების ნებისმიერმა ჯგუფებმა. თავად კანონმდებლებიც სთავაზობენ პროექტებს, რათა დაეხმარონ ამომრჩევლებს ან შეასრულონ წინასაარჩევნო ვალდებულებანი.

მაგრამ კანონპროექტთა უმრავლესობა, რომლებსაც სესიებზე კონგრესი განიხილავს, მომდინარეობს თეთრი სახლიდან. ყოველი წლის დასაწყისში პრეზიდენტი სახავს თავის საკანონმდებლო პროგრამას თავის „სიტყვაში ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ კონგრესის პირველი სესიის გახსნაზე. შემდეგ ადმინისტრაცია იწყებს კამპანიას, რათა განმარტოს პრეზიდენტის მიზნები. სამთავრობო ექსპერტები დიდხანს, ხანდახან თვეობითაც კი, თათბირობენ კონგრესის ყველაზე გავლენიან წევრებთან და განსაკუთრებული ინტერესების ჯგუფებთან, რათა გამოიმუშავონ პრეზიდენტის პროგრამის შესაბამისი კანონპროექტი.

საკანონმდებო წინადადებები, რომლებიც პრეზიდენტისგან მომდინარეობენ, ფაქტობრივად განიხილებიან პრესაში და სარგებლობენ კონგრესის განსაკუთრებული ყურადღებით. რადგან პრეზიდენტის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მისი საკანონმდებლო პროგრამის შესრულებაზე, თეთრი სახლი და პრეზიდენტის პარტიის ლიდერები ორივე პალატაში აკეთებენ ყველაფერს, რათა ადმინისტრაციის შემოთავაზებულმა პროექტებმა გაიმარჯვონ.

წარმომადგენელთა პალატაში კანონპროექტი იწყებს თავის რთულ გზას, როდესაც გადაეცემა პალატის მდივანს ხელში ან ეშვება „ჰოპერში“ — მისი მაგიდის პატარა უჯრაში. მდივანი ანიჭებს კანონპროექტს ნომერს და მისი ტექსტი ქვეყნდება „კონგრესის უწყებებში“. იგი ასევე იგზავნება სამთავრობო ტიპოგრაფიაში, რომელიც მეორე დილისთვის ბეჭდავს ყველა საკანონმდებლო წინადადებას ორივე პალატის ყველა წევრისათვის.

სენატში კანონპროექტები შემოიტანება მათი „წარმოდგენის“ გზით დღის დასაწყისის ორსაათიან პერიოდში წარმოთქმულ მოკლე სიტყვაში. შემდეგ კი მეორდება იგივე პროცედურა, რაც წარმომადგენელთა პალატაში — გამოქვეყნება და კონგრესმენთათვის დაგზავნა.

კონსტიტუციის პირველი მუხლის მეშვიდე განყოფილების მიხედვით ასიგნებათა გამოყოფის შესახებ კანონპროექტები უნდა მომდინარეობდნენ წარმომადგენელთა პალატიდან, მაგრამ „სენატმა შეიძლება შესთავაზოს შესწორებები და მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში, როგორც ჩვეულებრივ.“

პროექტის შეტანის შემდეგ ექსპერტები, რომლებიც გარკვეულნი არიან საპროცედურო საკითხებში, სთავაზობენ შესწორებებს, აგრეთვე კონსულტაციას უწევენ კონგრესმენებს განხილვისას შესაძლებელი პრობლემების შესახებ. ასეთი ექსპერტი, რომელიც არ არის წარმომადგენელთა პალატის წევრი, ასევე უგზავნის კანონპროექტს შესაბამის კომისიებსა და ქვეკომისიებს განსახილველად.

თუმცა კონგრესის კომისიები კონსტიტუციაში ნახსენები არ არიან, სწორედ ისინი წარმოადგენენ ამერიკის საკანონმდებლო „სამზარეულოს“. პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა (1913—21) მათ „მცირე ლეგისლატურები“ უწოდა და დაამატა: „არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სესიის დამამართველი კონგრესი ის კონგრესია, რომელსაც მაყურებელი ხედავს, მაშინ როცა ჭეშმარიტი კონგრესი თავისი კომისიების დარბაზებში მუშაობს“.

რომ არ იყვნენ კომისიები, კონგრესი ვერ განიხილავდა კანონპროექტების უმცირეს ნაწილსაც კი. დღესდღეობით წარმომადგენელთა პალატაში მოქმედებს 22, ხოლო სენატში — 16 კომისია. ამათ გარდა, მოქმედებს ოთხი გაერთიანებული (ორივე პალატის წევრთაგან) კომისია.

სამუშაოს მოცულობის გაზრდის გამო წარმოიშვა 300-ზე მეტი ქვეკომისია. კომისიები სარგებლობენ 25 000 სპეციალისტისა და საკანცელარიო მუშაკის მომსახურებით. მათ ფუნქციებში შედის ინფორმაციის შეგროვება, პრობლემათა და პროგრამათა ანალიზი. არც ერთ საკანონმდებლო ორგანოს მსოფლიოში არ ჰყავს ასეთი დიდი პერსონალი.

კომისიებისა და ქვეკომისიების შემადგენლობაში შედიან ორივე პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ მათი შეფარდება დამოკიდებულია მოცემულ პალატაში პარტიის უმრავლესობაზე. კონგრესის დაწყებამდე სენატორებსა და კონგრესმენებს შეაქვთ მოთხოვნები კომისიებსა და ქვეკომისიებში ადგილებზე. ამ ადგილებზე დამტკიცებისას სენატი ხელმძღვანელობს ჩამოყალიბებული წესებით, წარმომადგენელთა პალატაში დანიშვნა კი ხდება ორივე პარტიის მიერ. კომისიებში ადგილები განაწილდება უფროსობის მიხედვით — უფრო სტაჟიანი კანონმდებლები ღებულობენ უფრო გავლენიან ადგილებს.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ზომები განიხილება სახალხოდ. ინიშნება თარიღი, როდესაც დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება გამოვიდნენ თავისი არგუმენტებით. ასე განიხილება სხვადასხვა საკითხები — მაგალითად, ერთი სესიის განმავლობაში კომისიებისა და ქვეკომისიების მიერ ჩატარდა სახალხო განხილვებში შემდეგ თემებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფინანსირება, შტატებსა და ფედერალურ მთავრობას შორის შემოსავლის განაწილება; არჩევნები მაიამიში, რომელთა შედეგებსაც აპროტესტებდნენ მოწინააღმდეგე კანდიდატები; საზოგადოებრივ სამუშაოებისა და სარკინიგზო ასიგნებათა მიზანშეწონილობა; ატომური წარმოების უსაფრთხოება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ მნიშვნელოვან კანონპროექტებს. ზოგიერთი სხდომა გადაიცემა ტელევიზიით. ასეთი გაშუქება იწვევს საზოგადოების ფართო გამოხმაურებას.

ზოგიერთი სხდომა, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვით და დიპლომატიურ პრობლემებთან, მიმდინარეობს დახურული კარის უკან, მაგრამ მათს დასასრულ პრესას გადაეცემა ცნობები მათი მიმდინარეობის შესახებ.

კომისია აწონ-დაწონის ყველა არგუმენტს. თუ მისი წევრები თვლიან, რომ პროექტს არა აქვს დამტკიცების შანსი, გადადებენ მას, რაც უფრო ხშირად უარს ნიშნავს.

თუკი წინადადება გაივლის კომისიას, მას ჩართავენ პალატის განსახილველ სიებში. წარმომადგენელთა პალატაში ასეთი სიებია: **საკავშირო სია** მოიცავს კანონპროექტებს ასიგნებათა შესახებ; **კერძო სია** მოიცავს ინდივიდუალურ პრეტენზიებს მთავრობისადმი, იმიგრაციულ და მიწის საკითხებზე კანონპროექტებს; **თანხმობის სია** მოიცავს კანონპროექტებს, რომლებიც დავას არ იწვევენ; **დაბოლოს, განთავისუფლების სიაში** შეიტანება ის კანონპროექტები, რომლებისგანაც თავისუფლდება კომისია და გადაეცემა მთელი პალატის განსახილველად.

კომისიის სენატს წესები არა აქვს. უმრავლესობის ლიდერი ატარებს კონსულტაციებს უმცირესობასთანაც და ნიშნავს საკითხის განხილვის დღეს. რადგანაც სენატს არ გააჩნია რეგლამენტი, კანონპროექტის მომხრეები ხანდახან მიმართავენ ობსტრუქციას, უსასრულოდ აგრძელებენ განხილვის გადებს, რათა ბოლო მოუღონ კანონპროექტს.

როდესაც კანონპროექტი მიღებულია უმრავლესობის მიერ ერთ პალატაში, იგი გადაეცემა მეორეს. თუ იქ მას რაიმე დაემატება ან გამოაკლდება, იგი უბრუნდება პირველ პალატას. ამ შემთხვევაში ინიშნება ორივე პალატის გაერთიანებული შემათანხმებელი კომისია.

შემდეგ პროექტს კენჭი განმეორებით ეყრება პალატებში. თუ იგი დამტკიცდება, გადაიბეჭდება პერგამენტის ქაღალდზე, მას ხელს აწერენ წარმომადგენელთა პალატის სპიკერი და სენატის თავჯდომარე, შემდეგ ეგზავნება თეთრ სახლს. თუკი პრეზიდენტი მას ხელს მოაწერს, კანონპროექტი კანონის ძალას იღებს.

პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების პროცედურაში აისახება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპი. პრეზიდენტი ვერ ადებს ვეტოს ცალკეულ პუნქტებს — მხოლოდ მთელ კანონპროექტს. ვეტოდადებული კანონპროექტი უბრუნდება კონგრესს წერილის დართვით, რომელშიც ჩამოთვლილია პრეზიდენტის ყველა არგუმენტი. ვეტო ანფლირდება მხოლოდ კონგრესის ორი მესამედის გადაწყვეტილებით და პროექტი კანონად მექანიკურად იქცევა.

ეს ხდება მაშინაც, როდესაც პრეზიდენტი 10 დღის განმავლობაში არ აწერს ხელს კანონპროექტს. ხანდახან, თუკი კანონპროექტი მიდის პრეზიდენტთან სესიის მიმდინარეობის უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში, იგი „ივიწყებს“ მას და ამით ფაქტიურად ვეტოს ადებს.

ეიძლება ვინმეს საოცრებად მოეჩვენოს ის, რომ კონგრესი საერთოდ ახერხებს კანონპროექტების მიღებას. „კონგრესი ისეთი უცნაური რამაა,— აღნიშნა ერთმა საბჭოთა დამკვირვებელმა 1947 წელს,— დგება კაცი, ამბობს სიტყვას, ჯდება. მას არავინ უსმენს, მაგრამ შემდეგ ყველა ერთხმად გამოხატავს თავის უარყოფით პოზიციას“. საკანონმდებლო პროცესი ხშირად ამერიკელებსაც საგონებელში აგდებთ. ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ კონგრესის მუშაობა განზრახაა გართულებული, რათა მისი ჭეშმარიტი ქმედება დამალონ საზოგადოებრიობისაგან. მაგრამ ახსნა თავისთავად ნათელია: კონგრესი — ეს არის უზარმაზარი დაწესებულება, რომელიც განიხილავს მრავალ რთულ და ჩახლართულ საქმეს. მისი მუშაობის სტილიც სწორედ რომ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათს ასახავს. ამიტომაც იგი არ შეიძლება იყოს მარტივი.

ჟურნ. „ამერიკა“ ნოემბერი, 1991.

თარგმნა
თეენგიზ გოგოტიშვილმა

«ასე ხომ მეც...» ანუ ფიროსმანს მაინც რას ვერჩით?!

ფელიქს კოშიაშვილი

ბოლო დროს ჩვენში ბევრი ლაპარაკია იმ, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო სიტუაციაზე, რომელშიც აღმოჩნდა ქართული კულტურა, განსაკუთრებით „ახალ დროებაში“ — საბაზრო (გაბაზრებულ) ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში.

* * *

დიახ, ბევრი საუბარია, ბევრი იწერება ქართული კულტურის შეჭირვებაზე, იმართება სხვადასხვა დონის შეხვედრები, შეიქმნა კულტურის გადარჩენის კომიტეტი და... ყველაფერი ძველებურად, უცვლელად რჩება, ანუ ნახევრად ცარიელი თეატრისა და კინოს, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები... ფსევდოხელოვნების, ერზაცლიტერატურის „ნიმუშთა“ მოზღვავება, გაუყიდავ-წაუკითხავი ჟურნალები და წიგნები... კულტურის, მარადიულ ღირებულებათა გაუფასურების მზარდი პროცესი... ადამიანთა გაუცხოება ხელოვნებისაგან, მწერლობისაგან (შეიძლება ხელისუფლება ძალიანაც დაეხმაროს კულტურის ამა თუ იმ სფეროს — დაფინანსოს კიდეც; გადასახადებიც მოუხსნას... მაგრამ კაცს ძალით ვერც თეატრში წაიყვან და ვერც წიგნს წაკითხებ!)...

ერთი სიტყვით, მდგომარეობა მართლაც მძიმეა, მითუმეტეს, რომ როგორც ბატონი გურამ გეგეშიძე შენიშნავს, „საქართველო — ქართული კულტურაა!“.

* * *

ეს ყოველივე — შედეგია ადვილად, შეუიარაღებელი თვალით დასანახი შედეგი.

უფრო რთულადაა საქმე, როცა ამ შედეგის **განმაპირობებელ მიზეზებზე** იწყება მსჯელობა, მათი ანალიზი ხდება (აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარი, „მიზეზობრივი“ მსჯელობა, ანალიზი მაინცდამაინც ხშირი არაა). ერთის შეხედვით სამსჯელ-საანალიზო თითქოს ბევრი არც არაფერია, მიზეზები ხომ პირდაპირ ზედაპირზე ძევს; საერთოდ მძიმე მდგომარეობა ქვეყანაში (ბოლო ხანს საომარ მდგომარეობაში რომ გადაიზარდა) — პოლიტიკური კატაკლიზმები, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების გამწვავება, ცხოვრების გაძვირება, დამნაშავეობის ზრდა („რა დროს თეატრია, როცა პური ვერ გიყიდნია, საღამოთი გარეთ ვერ გამოსულხარ!..“)...

ამას დაუმატოთ დროის დეფიციტი, პრესის, ტელევიზიის, ვიდეოს ფაქტორი, საზოგადოებრივი ცნობიერების პოლიტიზაცია— და ყველაფერი „გასაგები“ გახდება.

* * *

რა შეღავათია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კულტურის კრიზისი გლობალური მოვლენაა. ღირებულებათა გაუფასურებას, კრიტერიუმთა აღრევას, ადამიანის („მასობრივი ადამიანის“), ასე ვთქვათ, „განკულტურებას“ თითქმის ყველგან უჩივიან...

* * *

აღნიშნულ, „ზედაპირულ“ მიზეზ-ფაქტორებს, რასაკვირველია, სწორედაც დიდი წილი უდევს არსებული მდგომარეობის შექმნაში, და მაინც მსჯელობა მართლაც ზედაპირული რომ არ გამოვიდეს, უნდა აღინიშნოს, „ზევით ამოიწიოს“ ის „ნიუანსებიც“, რომლებზე ლაპარაკიც ჩვენში მაინცდამაინც მიღებული არაა.

კერძოდ—

რამდენად სწორია მხოლოდ „ობიექტურ პირობებზე“, „სახსრების ნაკლებობაზე“, „მოუმზადებელ საზოგადოებაზე“ „ხელის დადება“?! ხელოვნებისადმი, ლიტერატურისადმი საზოგადოების, როგორც იტყვიან, გარკვეული წრეების გულაცრუებას, გაცვეთას თავად ხელოვნება, ლიტერატურა, ამ სფეროებში მიმდინარე პროცესებიც ხომ არ უწყობენ ხელს?! აძლევენ ეს უკანასკნელნი საზოგადოებას იმას, რასაც მისგან მოელიან („ჩვენში ხომ პოეტი მხოლოდ პოეტი არაა!“)?!

ხელოვნების ცალკეული დარგების, ლიტერატურის მიმართ გულგრილი, ირონიული დამოკიდებულების გაჩენას **თავად** ამ დარგებში, ლიტერატურაში დასაქმებულთა შორის — ყოველთვის არა მაღალი მატერიების გამო — არსებული ის ურთიერთდაპირისპირების, მეტისმეტი პოლიტიზირების ატმოსფერო, რბილად რომ ვთქვათ, არაცივილიზებული შინაომებიც ხომ არ განაპირობებენ, ასე დაუფარავად, აშკარად რომ მიმდინარეობს **მთელი საზოგადოების** თვალწინ?!...

* * *

დიახ, ეს კითხვები რიტორიკულია; სამწუხაროდ, ხშირად „ხელს უწყობენ“, „ვერ აძლევენ“, „განაპირობებენ“...

(ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,“რატომ წავა“ ჩვეულებრივი მოქალაქე, „ობივატელი“ კლასიკური მუსიკის კონცერტზე, თეატრში, გამოფენაზე, როცა ხედავს, რომ ასობით მუსიკოსიდან, თეატრის მუშაკიდან, მხატვრიდან, მწერლიდან ერთობ ცოტანი თუ დადიან?!)

* * *

არის კიდეკ ერთი „ნიუანსი“ — „უგემოვნების აღზრდის“, ე.წ. თვითშემოქმედების პრობლემა.

ამგვარი „აღზრდის“ ერთ გზად მოგვევლინა და გვევლინება სწრაფვა ხელოვნების ყალბად გაგებული გახალხურებისაკენ, ფართო მასების ჩაბმისაკენ ხელოვნების, ლიტერატურის „სამსახურში“, და ამ სწრაფვის, ტენდენციის ყოველმხრივი წახალისება.

* * *

რასაკვირველია, ცუდი არაფერია იმაში, რომ „გარეშე“ ადამიანი ხელოვნებით, ლიტერატურული ღწვითაა გატაცებული, მაგრამ ცუდი არ არის მანამდე, სანამ „გატაცებული“, „შეპყრობილი“, ხელოვნების, ლიტერატურის „სამსახურს“ **უპრეტენზიოდ, თავისთვის** ეწევა. მაგრამ როცა მას, იქნება იგი „თვითნასწავლი მხატვარი“, „თვითნასწავლი მუსიკოსი“, „მოუვარული პოეტი“ თუ სხვა, თავისი შემოქმედება „გარეთ“ გააქვს (მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა ეს შემოქმედება გარეთ გატანას), ასეთი გატაცება არ შეიძლება გაღიზიანებდეთ. როგორც უბრალო მოვლენა. ამგვარი თვითშემოქმედება (რაც არ უნდა შეეწყნარებლურად მოვეკიდოთ მას) ამ შემთხვევაში გვევლინება უკვე ნამდვილი ხელოვნების, ლიტერატურის პრეტენზიით. ხშირად ასეც აღიქმაში „პუბლიკა“ რაკიღა გამოფენეს, დაბეჭდეს, ესტრადაზე, ეკრანზე გამოუშვეს, ესე იგი, ხელოვნებაა, ლიტერატურაა!...

* * *

რა თქმა უნდა, ყველას ერთ ტაფაში ჩოქცევა არ შეიძლება არიან ნიჭიერებით მადლცხებულნი, სწორედაც რომ შემოქმედი „თვითშემოქმედნი“, რომელთა შემოქმედებაც დიახაც რომ იმსახურებს გარეთ გამოტანას, მაგრამ საერთო ტენდენცია ისეთი იყო და არის, რომ „მტყუან-მართლის“ გამორჩევა უკვე ჭირს...

* * *

ჩვენში დაივიწყეს, რომ ხელოვნება, ლიტერატურა, მისი „ქერუმობა“ არ შეიძლება იყოს, არ არის ყველასაკენ ხელგაწვდომი, ყველას „ხელწამოსაკრავი“, დავიწყებულ იქნა, რომ მთავარია „ნიჭი, ძმაო, ნიჭი!“

მხატვრობაში პრიმიტივიზმის ფაზის დაწყებას ვეწვიეთ, როცა ყველა, ვისაც კი ხელში ფუნჯის დაკავება და ხის დაბატარებდა შეეძლო, თვითნასწავლ მხატვრებად ვაცხადებთ და ინტენსიურად ვეთმაგებთ სავამოფენო დარბაზებსა და ტელეეკრანს.

„ასე ხომ მეც დავბატავ!“ — უხარია ჩვეულებრივ „დამთავლიერებელს“ და...

„ასეთ ლექსებს ხომ მეც ვწერ!“ — უხარია ჩვეულებრივ მკითხველ-მსმენელს და...

„ასე ხომ მეც ვიმღერებ!...

* * *

და მსახიობობენ, ხატავენ, წერენ, მღერიან, დგამენ, იღებენ!...

* * *

ყოველივე ეს კი ხელს უწყობს, როგორც უკვე ითქვა, ადამიანებში „უგემოვნების აღზრდას“, იწვევს მასობრივ „შემოქმედებით ფსიქოზს“, ხელს უწყობს ხელოვნების, ლიტერატურის „გაბაზრებას“ — შესაბამისად, გადასარჩენად ეხლა საქმეს კულტურას!...

* * *

ამდენი „შემწყნარებლობით“, მოწონებით, ხელის შეწყობით, წაქეზებით ყალბი ილუზიების ტყვეობისათვის, სიზიფეს ლოდის სათრევად ვიმეტებთ უამრავ ადამიანს, რომელთა არც ხელოვნებაში, ლიტერატურაში მოსვლით ემატებათ ამ უკანასკნელებს რამე და არც მათი წასვლით აკლდებათ. კარგავენ კი თავად „ბრალულები“ (ვისთვის მოუტანია ბოლო ანგარიშით სიკეთე ხელოვნებისა, არათავისი საქმის კეთებას), ლიტერატურა, საზოგადოება, ქვეყანა ტანჯულია, როცა ძალად ხელოვნობს, მწერლობს კაცი,რომელიც არის მწყემსი, მუშა, ინჟინერი შეიძლებოდა ყოფილიყო, ტაშ-ფანდურით რომ არ შემოგვეყვანა და ... ეყავდეს ხელოვნებაში, მწერლობაში). ერთი სიტყვით, ყველა ... არავინ არ იგებს...

* * *

... ერთმა სენმა დარია ხელოვნებას კულტურას — „კომპეტენტური თვითგამოხატვა-თვითდამკვიდრების“ სენმა. ბევრი ხელოვანი, ლიტერატორი არ კმაყოფილდება რა იმით, რაც მისთვის ... მოუცია, აქტიურად ეწევა თვითდამკვიდრება-თვითგამოხატვას „მეზობელ ჟანრებში“.

პოეტები მუსიკოსობენ, მუსიკოსები პოეტობენ, მსახიობები რეჟისორობენ, რეჟისორები სცენარისტ-დრამატურგობენ... და ყველა ერთად პოლიტიკოსობს...

(ზემოთ ცარიელი დარბაზები ვახსენე. სად არიან, რას აკეთებენ ეს ამდენი „ხელოვნებით გატაცებულნი“, „ხელოვნების მსახურნი“?! რას აკეთებენ და ხატავენ, თხზავენ, ესტრადაზე იღწვიან... გამოფენების, დაბეჭდვის. საქმეს აკვარახპინებენ...)

* * *

გადარჩენის გზა?

ამ გზის მონახვა, ამის გაკეთება რომ ადვილი იყოს, ხომ გადასარჩენადაც არ გახდებოდა საქმე...

მაგრამ იმის გაკეთება ხომ არაა ძნელი, ვალიაროთ, რომ მართალია, „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ხალხი ეკუთვნოდეს ხელოვნებას, ლიტერატურას! ნუ დავაბრალებთ ყველას „ხალხური მთქმელობას“, ნუ მივაწერთ ყველას „თვითნასწავლი ნიჭიერის“ ფირნიშს (თუ არა და, ფირნისმანს მაინც მოვუძებნოთ სხვა პეიტეტი, თორემ ისიც „პრიმიტივისტი“, „თვითნასწავლი ნიჭიერი“ და ...)...

ცოტა უფრო ნაკლებად ვიძახოთ, „საქართველო პოეზიის ქვეყანა“-ო, თორემ, ხომ ვხედავთ, ამის გამოისობითაცაა, რომ მართლა მთელი ქვეყანა გაგვიპოეტდა!...

და საერთოდ — ტრაფარეტულად უნდა დავამთავრო — მართლაც ყველამ თავისი საქმე აკეთოს:

მწერალმა წეროს!...
მკითხველმა იკითხოს!...
მომღერალმა იმღეროს!...
რეჟისორმა დადგას!...
მხატვარმა ხატოს!...
პოლიტიკოსმა
იპოლიტიკოსოს!...

და იქნებ კულტურაც გადარჩეს (რა თქმა უნდა, არა მარტო ამის წყალობით)!..

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

პეტრეს გურამის ძე გელავა

1992 წლის 15 სექტემბერს გმირულად დაიღუპა გაგრის მისადგომებთან... კიდევ ერთი ფლანთებული ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე შეეწირა აფხაზ სეპარატისტთა და გადამთიელთა ინტერვენციას; კიდევ ერთი ლამაზი ოცნება და ფიქრი დარჩა აუხდენელი...

24 წლის ობლად გაზრდილი ვაუკაცი პირველი დღიდანვე ჩადგა მამულის დამცველთა რიგებში. — —სახალხო ფრონტში მოხალისეებს აგროვებენ და ჩაწერა მინდაო, — მოკრძალებითა და ერთგვარი სიმორცხვით შემოაღო კარი... ასეთი დაგვამახსოვრდა იგი თბილისში. იქ კი, ბრძოლის ველზე, გურამ გელავას მიერ გამოვლენილი ვაუკაცობა და თავგანწირვა ნათელ მოგონებად აღიბეჭდა 102-ე ბატალიონის მებრძოლთა ხსოვნაში.

ამ პატარა მოსაგონარში განსაკუთრებული თანაგრძნობისა და ნუგეშის სიტყვა გვინდა ვუთხრათ გურამის დედას, ქალბატონ ვალიდას და ტყუპისცალს ნინოს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაცემული ქართველი ვაუკაცის სახელი უკვდავია, მის ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს.



თამაზ ფხაჭიაშვილი

1992 წლის 31 ოქტომბერს დაიღუპა სოხუმის მისადგომებთან...

სულ სამი დღის წასული იყო მოხალისედ თამაზ ფხაჭიაშვილი, როცა მტრის ტყვიით გულგანგმირული ჩამოასვენეს თბილისში.

არადა, რა დიდი სიყვარულით და სიკეთით იყო აღსავსე ეს გული!.

თამაზ ფხაჭიაშვილმა მხოლოდ 33 წელი იცოცხლა. დაიბადა 1958 წელს. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ოყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი. ქვეყნის სასიკეთოს ფიქრობდა და ქვეყნის სასიკეთოდ საქმიანობდა უნუმრად და უხმაუროდ. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც სამშობლოს უჭირდა და უშურველად გასცემდა იმას, რაც ღმერთს მოემადლებინა...

თამაზ ფხაჭიაშვილმა ყველა ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი—სიცოცხლეც სამშობლოს ბედნიერებას ანაცვალა.



ლევან ასლანიკაშვილი

1992 წლის 3 ოქტომბერს დაიღუპა დაბა ლესელიძის დაცვის დროს. იგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა საქართველოს მიწა-წყალს აფხაზი ექსტრემისტებისა და გადამთიელთა ბანდების ხელყოფისაგან.

ლევან ასლანიკაშვილმა ხანმოკლე, მაგრამ მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო.

დაიბადა 1961 წელს. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. 1988 წლიდან მთელი ძალ-ღონით ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებულ მოძრაობაში. იყო საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი მისი ჩამოყალიბების დღიდან და ღებულობდა მონაწილეობას ყველა იმ მამულიშვილურ წამოწყებაში, რომელიც დაკავშირებულია სახალხო ფრონტის სახელთან.

ლევან ასლანიკაშვილი მებრძოლი სულისა და დაუდეგარი ბუნების კაცი იყო. მას არასოდეს ჭქონია დამშვიდებული და გალაღებული ცხოვრება. სულ მთლად პირტიტველა ბიჭი საბჭოთა იმპერიის საჭეთმპყრობელთა მიერ ავღანეთში პროვოცირებული „ინტერნაციონალური ომის“ ჭარცეცხლში იწვოდა ორი წელი. რაოდენ პარადოქსულია ის ფაქტი, რომ სწორედ ამავე იმპერიის პირმშო-რუსეთის მიერ წახალისებულ და დაგეშილ სეპარატისტებთან ბრძოლას შეეწირა ლევანი აფხაზეთში.

ცოტა უფრო ადრე, წვრილშვილის პატრონი ვაუკაცი თოვლ[illegible] იცავდა სამაჩაბლოს „იმ[illegible] ერთად, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრიც იყო.

1992 წლის დასაწყისში ლევან ასლანიკაშვილმა საბოლოოდ აირჩია მამულის დამცველის წმინდათაწმინდა გზა. იგი იყო მარნეულის ბატალიონის ასმეთაური და ეროვნული გვარდიის კაპიტანი. აფხაზეთში იბრძოდა სეპარატისტების მიერ გაჩაღებული ომის პირველი დღეებიდანვე. ლევან ასლანიკაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც გადამთიელთაგან განთავისუფლებულ ლესელიძეში შევიდა აგვისტოს ბოლოს. მასვე ხვდა წილად, ერთ-ერთი პირველი დაცემულიყო რიცხვობრივად მრავალგზის აღმატებულ მტერთან ბრძოლაში 3 ოქტომბერს.

ლევან ასლანიკაშვილი სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე... მისმა ოჯახმა სამშობლოსათვის გმირულად დაღუპული ვაუკაცის ცხედარიც ვერ დაიტირა; ცოლშვილი უკანასკნელად ვერ ეამბორა ოჯახის მოსიყვარულე მამას; ჩვენ, მისმა მეგობრებმა და თანამოხანგრეებმა ჭეროვანი პატივიც ვერ მივაგეთ დიდსულოვანი მეგობრის და ჭეშმარიტი პატრიოტის წმინდა ხსოვნას. ამქვეყნად დარჩენილ მის ჭირისუფლებს ერთი რამ გვაიმედებს: ლევან ასლანიკაშვილის სული ზეციურ სასუფეველში იმყოფება საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა გვერდით, ხოლო მიწა, სადაც მისი ნეშტი დარჩა, საქართველოს მიწაა უკუნითი-უკუნისამდე და მას ვერავინ წაგვართმევს, თუნდაც მთელი სამყაროს ბოროტი ძალები ერთად შეიყარონ.

საქართველოს სახალხო ფრონტი.
გაზეთი „საქართველო“

ლევან ასლანიკაშვილის ნათელი ხსოვნის წინაშე თავს ვხრი და მინდა პიროვნულადაც განვუცხადო სამძიმარი ლევანის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს, მთელ საქართველოს, რადგან ასეთი ვაჟები სამშობლოს უკვდებიან და არა მხოლოდ ერთ ოჯახს.

სამარადისო იყოს შენი ხსოვნა, ჩემო უმცროსო მეგობარო, მამულისათვის დაცემულო ვაჟკაცო.

საქართველოს სახალხო ფრონტის
თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე



პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი



ჯოჯოხეთია,
კი, კვერს გიკრავ, ჯოჯოხეთია,
მაგრამ თავისუფლებისაკენ მიმავალი
ჩვენი გზაწვრილი
ჯოჯოხეთზე გადის თურმე.
ამ რუსთაველის პროსპექტივით ჩვენს სულებშიც
გადაიბუგა იმდენი რამე.
ამ პროსპექტივით აღსადგენია
მიმონგრეული საკუთარი სამყაროები.
ძმანო ქართველნო,
ჩვენთაგანი თითოეული
უნდა გადვიქცეთ ხუროებად, კალატოზებად,
რომ ავაშენოთ სამშობლოც და
ჩვენ-ჩვენი თავიც.

ტაგუ მეგურიშვილი

განცხადება

1992 წლის 11 ნოემბერს გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის დახურული სხდომა. სხდომის წესრიგი: საორგანიზაციო საკითხები.

დარბაზის წევრების და რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

საორგანიზაციო განყოფილება

ინდექსი 66447
ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი